– ჯანდაცვის სამინისტრომ ასევე უნდა უზრუნველყოს ონარიის საექიმო ამბულატორიის აუცილებელი სამედიცინო ტექნიკით აღჭურვა, ასევე გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტებით მიმარაგება;

სამოქალაქო მონიტორინგისა და კვლევის ცენტრი გამოთქვამს მზაობას ითანამშრომლოს ნებისმიერ უწყებასთან აღნიშნული საკითხებზე.

სამოქალაქო მონიტორინგისა და კვლევის ცენტრი

რამ „ააჯისინა“ ეკა ბუსელია და უჩივლებს თუ არა ის დარეჯან ცქვიტარიას სასამართლოში?

რამდენიმე დღის წინ ფოთის საკრებულოს წევრმა „ნაციონალური მოძრაობიდან“ დარეჯან ცქვიტარიამ, ფოთის მაჟორიტარი დეპუტატი ეკა ბუსელია ადგილობრივი ბიზნესის ხელშეწყობის და დადანიშნულა. ამ თემის თავად ეკა ბუსელია ადგილობრივ ტელევიზიაში გასული თქმულის საშუალებით გამოეხმაურა და ცქვიტარიას უდრის და მატყუარა ქალებათი უწოდდა.

ფოთის მაჟორიტარი დეპუტატი ეკა ბუსელია ფოთის საკრებულოს წევრის, დარეჯან ცქვიტარიას წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანას გეგმავენ.

“მე მინდა ვუპასუხო ამ მატყუარა და ძალიან უპასუხისმგებლო ქალბატონს, რომელიც ძალიან უდრის განცხადებებით გამოირჩევა. ის საკრებულოს წევრია და მხოლოდ ამიტომ ვუპასუხებ, თორემ პასუხის დირსადაც არ ჩაეთვლიდა სხვა შემთხვევაში. რადგან საკრებულოს წევრმა „ნაციონალური მოძრაობიდან“ მსგავსი რამის უფლება მისცა თავის თავს

და განაცხადა, რომ თურმე დეპუტატი ფულს აკეთებს, კეთილს ინებებს და აი ამ განცხადებაზე პასუხს აგებს. მოიტანს კონკრეტულ ფაქტს, დადებს კონკრეტულ ფაქტს და აი ამას მოიტანს ის სასამართლოში“ – აცხადებს ეკა ბუსელია.

ბუსელიას კომენტარს კომენტარივე პასუხობს თავად საკრებულოს წევრი დარეჯან ცქვიტარია და მაჟორიტარი დეპუტატის სატელევიზიო გამოსვლას ამაზრუნენსა და სასაცილოს უწოდებს.

“ძალიან ამაზრუნევი და სასაცილო იყო მისი კომენტარი, იმდენად რამდენადაც სიმართლის მოსმენამ ააჭიხინა ბუსელია და გამოიყვანა მწყობრიდან. შეიძლება ბუსელიას დაეკითხო იურიდიულ საკითხებზე, მაგრამ უნებობასა და მორალთან ის ცოტა მწყურადად არის და მე მგონი ვერ დაეკითხებით ჩვენ მას ვერაფერს“ – აცხადებს დარეჯან ცქვიტარია.

საჭირო და ფრიად საინტერესო წიგნი


არასამთავრობო ორგანიზაციამ „ინტერნული მემკვიდრეობა“ გამოსცა ცნობილი ქართველი პოლიტიკოსის, სახელწოდებით „სამედიცინო“ თავმჯდომარის ბატონ ალექსანდრე ჰაჭიას წერილების, გამოსვლებისა და ინტერვიუების კრებულის მეორე ტომი. მისი ნაშრომისაგან შემდგარი პირველი ტომი 2002 წელს გამოიცა და მკითხველთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

რამდენიმე დღის წინ მკითხველის სამხედავროს გამოსული მეორე ტომი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში გაეცნობით ბატონ ალექსანდრე ჰაჭიას 2012-2013 წლების პუბლიკაციებს, ხოლო მეორე ნაწილში – 2001-2011 წლების ინტერვიუებს, წერილებსა და გამოსვლებს.

ათეული წლების წინათ გამოქვეყნებული ინტერვიუები და პუბლიკაციები, სამწუხაროდ, დღევანდელ დროს იხედავდა, თითქოს არც დრო შეცვლილა და არც ხელისუფლება. კრებულის შექმნა შეგიძლიათ

“ბიბლუსისა“ და “ბესტსელერის“ მაღალითა ქსელში, აგრეთვე, წიგნების მაღაზია “სამშობლოში“ (თბილისი, ყაზბეგის გამზირი №4).

რედაქცია



საპარტიული, როგორც კონსერვატივი...

რაინდული შამართებით გავლეს!

ვისაც ურთიერთობა ჰქონია გავლენით „ილიორის“ რედაქციასთან, დამემოწმება, რომ იგი პირუთენელია ჭეშმარიტი ეროვნული ღირებულებებისადმი. გამოირჩევა მართალი აზრის დამკვიდრებითა და უკეთურების წინააღმდეგ ბრძოლის პათოსით. ამგვარი შემოვიდა იგი ჩემს ცხოვრებაში.

იღუპალებითა და ქვეცნობიერად ჩვენ ისეთ დასაყრდენს ვეძებთ, რომელსაც ჩვენი გულის ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილება შეუძლია. ასეთი გახლავთ გავლენით „ილიორი“.

ადვილი არ გახლავთ მოღვაწეობა, როცა შენს ირგვლივ ამდენი ბოროტება, დვარდლი და უკეთურებაა. და მინც ბასრი კალმის წყალობით „ილიორმა“ მოახერხა წლები გამოეტარებინა ჟურნალისტის ქარცეცხლში და დაპირისპირებულა ტრადიციების უხეშ

დარღვევებს. უხეობას, ერის ღალატს. სხვა აქტუალურ თემებთან ერთად, უკანასკნელ ათწლეულში განსაკუთრებული როლი ითამაშა სვანური და ჭანურ-მეგრული ენის მოქიშეთა მოსაგერიებლად. იმათ მიმართ ვინც, შეგნებულად ტალახს ესროდა ცოტნე დღიანის, ითანე მინხის, გიორგი ჭყონდიდელის, აკაკი ხორავას, ჟიული შარტავას მშობლიურ ენას. იმათ შესაგონებლად ვინც ვკაჟეშ აყენებდა სამეგრელოს ჭეშმარიტ ერთგულებას დედა სამშობლოსადმი. ამტყვევდა ღია კარს და სეპარატიზმის აბსურდულ ბადეში ხვევდა საქართველოს ხერხემლად წოდებულ მხარეს. გახეთი და მისი მთავარი რედაქტორი, ბატონი როლანდ ჯაღალანია ხმაღამოწმდილი იდგა სიმართლის სადარაჯოზე.

ფიქრობ, რომ განსაცდელი, რომელიც

ჩვენმა ერმა გამოიარა, იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოს მომავალში ელოდება დიდი მადლი და გასხვივსება. მჯერა, „ილიორი“ თანამონაწილე იქნება ამ ამაღლებისა და გაბრწყინებისა.

ჩემთვის „ილიორი“ არის რაინდი, თეთრ ცხენზე ამხედრებული, მართალი სიტყვის ჭეშმარიტი მებრძოლი, რომელიც კვლავაც ცოტნეს თავდადებით, ჟიულის ვაჟკაცობითა და რემა შელევიას სმინებით გააგრძელებს სვლას ჟურნალისტის რთულ გზაზე.

ბორის ღვინია
მწერალთა ეროვნული აკადემიის წევრი, აკ. წერეთლის სახელობის პრემიის ლაურეატი. საერო მეცნიერებათა აკადემია „აიას“ ნამდვილი წევრი

პოეზიის კუთხე

სკვამი ცირა

ჩქიმ ზისნახე სქვამი ცირა,
მოკოსქანო ბჭარე ბირა,
ოშ წანასი გარზე, ჯიმა,
სი ახუტოლეუქუნი თინა.

სქანი თოლეფიში ელანჯამა,
ნანა მურე, მუში მასქვამა,
თეშ ართიშა ქოძირუქ რე
გურს დანხირიში ელარზამა.

ვარა მუში მასქვამა რე
ცირა ათე სქანი კისერი,
გვალე ხოლოს ველამლეა,
მოშქურუ სარკო ვაბქიმენი.

თე მე დიო ვავორექი
ათე ცხოვრებათი რძელი,
ოში წანასი ქუგუარზული
ართიშა ქუგახუტოლენი.

უკული ღურა ვამონარღუ,
ართიშა ღუცი ქუგოილეა,
ნიტე, ჩქიმი ქორყუსი,
ხატიცალო მუგოილეა.

მარა ენა სიზმარიე,
თაში რე დო მუ ბლოლეა,
თოლით ვარა ქუმოფერე,
ცირა, გვალე ვეგლოლეა.

ირო თეცალი სქვამი ორდა,
ვალინუა სქანი სისქვამე,
ბრელი ცირა მიძირუ მარა,
სქან მასქვამა მითინი ვარე.

მა ვამიქუ მუ ფქიმინე,
ღუცი მუჭო მიეგვარე,
თიცალ ლერსიქ გიშამირთუ
თენა, ალბათ, ცოროფარე.

ათე ლერსი სქანო ბჭარი,
ეხანტილი სი მაფუდე,
ლერსის ვარი, ჩქიმი ცირა,
ათე ჩქიმი გურს განუქე.

ბენო ასათიანი,
ზუგდილი

გამომცემი ბამოსაგალი

ლექს გულში ვწერ, მერე
ვჯღაბნი,
ამით ჩემს გულს ვახარებ.
არც ვუფა ვარ, არც აკაკი,
აბა, რით ვაგახარებთ?

დიდ პოეტებს არ ვედრები,
ვარ ბატარა მარცვალი,
ბელ-უკლემართ ცხოვრებისგან
ხშირად აღვიღ-ნაცვალი.

ჩემი ქვეყნის უმწველით
უსასოლდ შიენილი,
უფლის ნებით არაერთგზის
სიკვილილს გადარჩენილი.

ჩემი ხალხის, ჩემი ქვეყნის
სიყვარულით უძღვები,
რომ არ იყოს ქვეყნად
ღმერთი,
ცრუ საწუთროს, მის
სიყვალბეს,
ალბათ, ვერ გაუფიქლებდი;

... და მე ვხვდავ, რომ სამშობლოს
საფრთხე კვლავ ემუქრება,
სასწორზე დევს ჩვენი ქვეყნის
ხალხის თავისუფლება.

ქვეყნის შველა თვით ერს ძა-
ლუქს,
ერთობაა მთავარი...
ქვეყნის ნეიტრალიტეტში
ვაპოვოთ გამოსავალი.

სოსო შირცხალაშვილი

ილია ჭავჭავაძე და ღუშეთი

(დიდი ილიას ხსოვნისადმი
არაჯეროვან დამოკიდებულებაზე
მოგვითხრობს ჩვენი მეგობარი და
აქტიური ავტორი პროფესორი
თამაზ ბიბილური)

ღუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულია ძველი ღუშეთის გიორგი მოზ-
ლოკელის გახსენება ილიასდროინდელ ღუშეთ-
ზე. თვალის გადავადვლოთ ამ დოკუმენტს,
გავგერკვიოთ იმაში, თუ რას წარმოადგენდა
ღუშეთი მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში,
მით უმეტეს, რომ ბევრი ამბავი ილიას სახ-
ელთან არის დაკავშირებული.

ილიას მოღვაწეობის დროს ღუშეთის
მოსახლეობა შეადგენდა 2920 სულს. სახლებს
რაოდენობა 88, ღუშეთის რაოდენობა 14.
ვაჭრობას სომხები ეწოდნენ: ალავერდოვები,
აროვანოვები, თათოლოვები, ვლიკოვები.

ამ დროისათვის ღუშეთში უმეტესად იყო
საფეიქროები, სამღებროები და საკირეები.
რაც შეეხება სწავლა-განათლების საქმეს,
ღუშეთში და მის მახრბო ცუდად ყოფილა
დაწყებული. 1828 წელს დაარსებულა სამაზრო
სასწავლებელი, რომელიც ხან დაწყებით
სასწავლებლად გადაიქცეოდა ხოლმე. ხელმოკ-
ლე ხალხი კმაყოფილებოდა ღუშეთში მიღე-
ბული ცოდნით, რადგანაც მაშინ ადვილი არ
იყო შვილების თბილისში გაგზავნა სასწავლე-
ბლად და მათი შენახვა. სასულიერო წოდების
ხალხი შეიღებოდა სასულიერო სასწავლებელში,
ან სემინარიაში ავსტრიულად, თავდაზნაურებს
კი საშუალება ჰქონდათ შვილების გაგზავნისა
უფასო კადეტთა კორპუსში ვორონეჟში, ორი-
ოლსა და მოსკოვში.

ღუშეთში არ არსებობდა ქალთა სკოლები.
ქალების მოცილება ოჯახიდან არ იყო მიღე-
ბული და, მით უმეტეს, ღუშეთიდან ვინ გაგზავ-
ნიდა ქალს რუსეთში სასწავლებლად?

მშობლები ცდილობდნენ შვილებისათვის
ესწავლებინათ საოჯახო საქმე, ჭრა-კერვა,
ქსოვა. ქალები კერავდნენ ქართული ტანსაცმ-
ლის მოსართავებს, სარტყელ-გულისპირს, მა-
ჯათსაკრავებს. საუკეთესო ხელსაქმედ ითვლე-
ბოდა მძივით ქსოვა (საქისე, ნიბუხის ტარზე
ხსაცემელი, მათრახის ტარის მოსართავი და
სხვა).

ილიას დროს ღუშეთს ამშვენებდა ჯიმშერ
ხოლოვაშვილის მიერ აშენებული შიდა ციხე.
ეს იყო მსხვილი ქვისაგან ნაშენი ოთხკუთხა
ციხე. კედლების სიმაღლე უდრიდა ოთხ
საუენს. ალაყაფის კარებზე ჩახსული იყო
მარმარილოს დიდი დაჯა წარწერით, რომელიც
მოგვითხრობდა აშენების თარიღს და ამ-
შენებლის ვინაობას. სამწუხაროდ, ეს ძეგლი
ამჟამად აღარ არსებობს. 1888 წელს ციხე
დაუნგრევიათ და ნანგრევი მასალა
გამოუყენებიათ საძირკველში ჩასაყრდელად
ვაზარების აშენებისას, რომელშიც შემდგომ
მდგარა ქართული „ღრუშინა“.

ამ ციხის პირდაპირ ყოფილა ცარიელი
ადგილი – მოედანი, სადაც გლეხკაცებს
გასაყიდად მოჰქონდათ თავიანთი ნაწარმი.
მოედნიდან ზემოთ მიდიოდა სამი ქუჩა,
რომელსაც მოთავსებული იყო სავაჭროები
და სახელოსნოები. ზემოთ, საუკეთესო მადლო
ადგილზე აღმართული იყო ძველი ოთხკუთხა
ციხე-კოშკი. მის ქვემოთ, პატარა უგუმბათო
ქეთიკირის ეკლესია წმინდა გრიგოლის სახ-
ელობისა, გალავნილი. კოშკის გასწვრივ მეორე
ქედზე იდგა დიდი სახლი ხილის ბაღში.
სახლი ერთსართულიანი იყო, მაგრამ მას
ამშენებდა მშენებელი ხის აივანი. კოშკი,
ორი სახლი და მათ შუაში ცარიელი ადგილი
ეკუთვნოდა სამ ძმა ყარანგოზიშვილებს –
არაგვის ერისთავის ზურაბის ჩამომავლებს.
ამ შენობების და ბაღის ძირას ეშუებოდა
გრძელი ქუჩა, სადაც ჩამწკრივებული იყო
ვასილ და ალექსანდრე მოზლოკელების და
მათი სიძის ზურაბ მორთულაძის ოთხი საცხ-
ოვრებელი სახლი. ამ სახლებიდან ერთ-ერთი
ყველაზე საუკეთესო ილიას ამოურჩევია საცხ-
ოვრებლად (ის სახლი დღესაც შემორჩენილია).

მომრიგებელ მოსამართლეს კანცელარია ჰქო-
ნია ჩიფრისხანას სახლში, ხოლო „კამერა“
ზურაბ მორთულაძის ბინაში.

ღუშეთში ზურაბ მორთულაძეს მრავალი
წლის განმავლობაში ეჭირა კომისრის
თანამდებობა. იგი თბილისელი აზნაური იყო,
რომელიც გიმნაზიის დამთავრების შემდეგ
ჩამოვიდა ღუშეთში და შეუღლა სახელმწიფო
სამსახურს. აქვე შეირთო ცოლად ღუშეთში
მცხოვრები ცნობილი მწიგნობრის პავლე
მოზლოკელის ქალი. აიშენა სახლი და
დასახლდა ღუშეთში. ზ. მორთულაძეს აგარაკი
და ვენახი ჰქონია სოფელ ნაოხასთან და
ხშირად პატივობდა მეგობრებს რთველში.
მისი სახლი მუდამ სტუმრებით იყო სავსე.
კვირაში ორჯერ ჰქონდა ქაღალდის თამაში
ვახშით და მუსიკით. იგი მასპინძლობდა
ღუშეთში სტუმრად მოსულ ყველა მოხელეს.
მისი უახლოესი მეგობრები იყვნენ: პლატონ
იოსელიანი, ადამ, გიორგი და ერთი-
ორი ყარანგოზიშვილები, მიხეილ ყაზბეგი, ალ. სა-
გინაშვილი, ნიკ. შაღუბათოვი, შემდეგ ილია,
ჭილაშვილები, ტურიშვილები, ოსტაშვილები.
როგორც ყველა ოჯახის მეგობარი, ზურაბი
რჩევა-დარჩევას არ აკლებდა ღუშეთის
საჭიროების შემთხვევაში. შესანიშნავად
ფლობდა რუსულ და მშობლიურ ენას,
მშვენივრად ერკვეოდა იმდროინდელი საქმის
წარმოებაში და კანონებს. თურმე ილიაც,
ჯერ კიდევ სამსახურში გამოუცდელი, ხშირად
რჩევისათვის მიმართავდა ზურაბ მორთუ-
ლაძეს, როგორც საქმეში ჩახედულ და
ღუშეთის მხარის საუკეთესო მცოდნეს.

თავიდანვე, ზურაბ მორთულაძის ოჯახში
ილია და მისი მეუღლე ოლდა თადეოზის
ასული მიღებულნი იყვნენ, როგორც სტუმრები,
შემდგომში უკვე მეგობრები.

ღუშეთში ილიას მოღვაწეობის დროს გან-
თქმულ ოჯახებად ითვლებოდნენ ადამ
ყარანგოზიშვილის და ალექსანდრე მოზლოკე-
ლის ოჯახები. ყარანგოზიშვილები ღუშეთის
ძველი მაცხოვრებლები იყვნენ და არაგვის
ერისთავთა ნათესავებად ითვლებოდნენ, მათი
ქალის ჩამომავალი იყვნენ. მათი წინაპარი
ქალი გაცაცებელი ყოფილა სპარსეთში, სადაც
მისთვის დაურქმევიათ „კარაგოზი“, რაც მათ
ენაზე ნიშნავს შავთვალას, ეს მეტსახელი
შემდეგ გვარად გადაქცეულა.

ყარანგოზიშვილის ერთ-ერთი შვილი გიორ-
გი და მისი მეუღლე ნატალია ელიოზიშვილი,
რომელსაც თბილისში ჰქონდა დამთავრებული
ქალთა ინსტიტუტი, დიდი მეგობრები შექმნენ
ილიას და ოლდას, ხშირად სტუმრობდნენ
მათთან ღუშეთში.

ღუშეთის მკვიდრად ითვლებოდა ის-
ტორიკოსი პლ. იოსელიანი. ეს უკანასკნელი
ღუშეთს დაუახლოვდა თავისი პირველი ქორწი-
ნის შემდგომ, როცა ცოლად შეირთო აქაური
ზანდუკიანი ქალი. მას კარგი ურთიერთობა
ჰქონდა ღუშეთთან და აღწერილი აქვს, თუ
როგორ ჩაეყარა საფუძველი ახალ ეკლესიას
ღუშეთში 1859 წელს, რომლის აშენებაც ითავა
ზურაბ მორთულაძემ. პლატონ მონაწილეობა
მიუღია 1860 წელს ღუშეთში რუსი მოღვაწე
გენ-ფელდმარშალ, გრაფ დიმიტრი მილიუტინის
დახვედრაში. მას სიტყვა წარმოუთქვამს
გრაფისადმი. ამ უკანასკნელს კი თავის
მისალმებაში ღუშეთისათვის „საქართველოს
კარები“ უწოდებია.

ღუშეთის მიერ მოწყობილ სადილზე,
რომელიც გაიმართა 1874 წელს ილიას
გასაცილებლად, პლატონ იოსელიანს წარ-
მოუთქვამს სიტყვა. ღუშეთის მახრბის მცხ-
ოვრებელთაგან ილია ყველაზე მეტად
დაახლოებული ყოფილა ვახუტეებთან. დიმი-
ტრისა და გიორგის იგი იცნობდა პეტერ-
ბურგდან. ვახუტეები მუდამ დაიარებოდნენ
და სტუმრობდნენ თავიანთ მამიდაშვილ ადამ
ყარანგოზიშვილს. ილია კარგი აზრისა იყო
დიმიტრიზე, როგორც ნიჭიერ და საქმეში
ჩახედულ კაცზე. მას ერთ დროს თავისთანაც
უმუშავები დიმიტრი ყაზბეგი.

მუხრანის დიდ ბატონს ივანეს ილია ხვედ-
ბოდა ღუშეთში. ეს უკანასკნელი სტუმრად

დაიარებოდა კობიაშვილებთან. ილია თავის
„გამოცანებში“ ახასიათებს ამ ფეოდალს. ილი-
აც დაიარებოდა ხოლმე კობიაშვილებთან
და რამდენიმე ნათლულიც ჰყოლია.

ღუშეთში მოღვაწეობის ათი წლის
მანძილზე ილიას სასამართლოში და აღმინ-
ისტრაციაში მრავალი მოხელე გამოიცვალა.
განსაკუთრებით დიდი კვალი დატოვეს
ღუშეთის ცხოვრებაში პირველმა მაზრის
უფროსმა იაკობ ზუბალაშვილმა და პირველმა
ექიმმა ნიკოლოზ ჩიგანამა.

ზუბალაშვილი ჩამომავლობით ქართველი
ფრანგი ყოფილა, განათლებული და შეძლე-
ბული კაცი. ღუშეთში მან გააშენა მშვენიერი
ბაღი. ზუბალაშვილი ხელგამლილად ცხ-
ოვრობდა. ჰქონდა „ეკი პატი“, ჰყავდა მზარეული,
რაც იშვიათობას წარმოადგენდა ღუშეთის-
ნაირი პატარა ქალაქისათვის, მართავდა
წვეულებებს, ქაღალდის თამაშს. მისი მეუღლე
ფეფია, რომელსაც განათლება მიღებული
ქონდა თბილისის ქალთა ინსტიტუტში, მარ-
თავდა წვეულებებს ქალებისათვის, სადაც
იმართებოდა ლოტოს თამაში. ზუბალაშვილის
უფროსი ქალიშვილი ელისაბედი გათხოვილი
იყო ილიას მეუღლის დისწულზე სიმონ
სტაროსელსკიზე.

ილიას დროს ღუშეთში კულტურული გარ-
თობები თითქმის არ იყო. არსებობდა მხოლოდ
კლუბი. აქ იკრიბებოდნენ ღუშეთის მოხელეები
და მოსახლეობა, სადაც თამაშობდნენ ქალ-
აღდს. გახშირებული იყო წვეულებები, ნათ-
ლობები, ქორწილები. ვისაც მეტი შეძლება
ჰქონდა გაიხინეს „ტარანტასები“ და თბილისში
დაიარებოდნენ გასართობად შაბათ-კვირას.
პიკნიკებისათვის და სადილებისათვის ბევრი
არავლავდა იყო ღუშეთში, უმეტესწილად კი
ბატონიშვილების იულონისა და ვახტანგის
ბაღები, რომლებიც მათი რუსეთში
გადასახლების შემდეგ შეისყიდეს სომხებმა:
აბრეღოვებმა, ალავერდოვებმა, თუმანოვებმა.

ღუშეთისათვის ყველაზე კარგი თავშე-
ესაქცევი იყო ხატობა. აღსანიშნავია ხატობა
„ვიტრიკა“, რომელიც იმართებოდა სოფელ
დიდებანთკარის თავზე. დღესასწაული იმარ-
თებოდა 15 ივლისს. ღუშეთის კომისარი ზურაბ
მორთულაძე საგანგებოდ ემზადებოდა
ყოველთვის ამ დღისათვის. პატივებდა ყველა
თავის მეგობარს. წინა დღით დილიდანვე
დადგმული იყო რამდენიმე კარავი. საღამოთი
იკრიბებოდნენ დაპატივებული სტუმრები და
იქ ათეუდნენ დამეს. თამაშობდნენ ქალაღდს,
ლოტოს, იმართებოდა სადილი. სტუმართა
შორის დღეობაში აუცილებლად იყვნენ პლ.
იოსელიანი მეუღლეთი, ილია და ოლდა
ჭავჭავაძეები, ინჟინერი ნიკ. შაღუბათოვი,
ღუშეთის სკოლის გამგე რუხნიკოვი, ადამ
ყარანგოზიშვილი ოჯახით, ბაბანა ჭილაშვილის
ქვირა ოჯახით. ქვიფი გრძელდებოდა
საღამომდინ.

დიდი დღეობა იცოდნენ სამეგობოს, რომელ-
იც 15 აგვისტოს აღინიშნებოდა. ღუშეთში
ემზადებოდნენ ამ ხატობისათვის, მეტადრე
ისინი, ვინც კარგად იცოდა ცხენზე ჯდომა
და შეეძლო დიდში გამოსვლა.

თამაზ ბიბილური,
პროფესორი, საზოგადოება „ილიაორ“-ს
თავმჯდომარე

ჯალალონია-ჯალალანიების გვარის დალოცვა
2014 წლის 25 მაისს საქართველოს კათალიკოს პატრიარქი ილია II
დალოცავს **ჯალალონია-ჯალალანიების** გვარს. ამისთვის აუცილებელია
საკვარეული ხატის ერთობლივად დაწერა (დახატვა), რისთვისაც **“ლიბერთი
ბანკში”** გახსნილია ანგარიში. **მფო 220101480 ანბ. №GE44LB0711101664171640**
(როლანდ ჯალალანიას სახელზე). მნიშვნელოვანია, ყველა ჯალალონია-
ჯალალანიამ მიიღოს მონაწილეობა ამ სასიკეთო საქმეში და შესაძლებლობის
ფარგლებში ჩარიცხოთ ნებისმიერი თანხა. დეტალების დასახუტებლად შე-
გიძლიათ დარეკოთ ნომერზე: **599-57-33-22, 597-34-43-70 – ოქლანდ ჯალალა-
ნია).**

კოლხეთი – კაცობრიობის ცივილიზაციის სათავე



დასაწყისი "ილორი" №171-241

„ჯიბერელი“ მგერელ იბერებმა ციხე-სიმაგრედან, სხვა ქვეყნებთან ერთად, II საუკუნეში ბერძნებს შესთავაზეს ქრისტიანობა და მათ საბერძნეთში ქრისტიანობასთან ერთად შეიტანეს სახელი იბერები – ნიშნად ქრისტიანობის, ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს ის, რომ საბერძნეთის საქრისტიანო ცენტრი ათენი ერთ დროს იბერად იწოდებოდა (ეს იყო არა საბერძნეთის, არამედ შენაძენი იბერია).

„ჯიბერელმა“ მგერელმა იბერებმა უკვე გაქრისტიანებული ბერძნების დახმარებით ესპანეთში ჩამოაყალიბეს იბერთა ჯგუფი, რომელთა საშუალებით დაიწყო ესპანეთში ქრისტიანობის გავრცელება. ასე შეიქმნა ესპანეთის მგერული იბერია – ასკენის ბ. სართანია. მაგრამ ესპანელმა კერპოთაქვანისმცემლებმა ისინი სასტიკად დაარბიეს. რეპრესიებით შეშინებული მგერულ იბერთა ჯგუფში შემაჯავლი ესპანელები, ესპანეთიდან გამოიქცნენ და შეეხიზნენ მგერელ იბერებს სამეგრელოში – ამ დროისათვის მიუღი სამეგრელო უკვე იბერად იწოდებოდა.

ამდენად, ესპანელი იბერები მგერულ იბერებად მოინათლნენ და არა მგერულად ესპანელებად. ამიტომაც ამბობენ ესპანელები და მგერელები ნათესავეები არიანო.

იბერი არა მარტო მგერული სიტყვაა, არამედ ქრისტიანობის მგერული სიმბოლოც. მგერულ იბერებს „ახალი იბერი“ იმ ქვეყნებში შექონდა, სადაც ქრისტიანობას ავრცელებდნენ. ამ აზრისა იყო აკად. ნიკო მარი. ასეთივე შესხედულებისა აკად. გიორგი მელიქიშვილიც.

უნდა აღინიშნოს, რომ იერუსალიმელი მგერელი ქრისტიანი იბერები X საუკუნეშიც ფლობდნენ ჯიბერის ციხე-სიმაგრეს მდ. ეფფრატის სათავესთან.

X საუკუნის საბერძნეთის მეფემ პორფირე გერენტიმ გადაწყვიტა ჯიბერის ციხე-სიმაგრის დაპყრობა და, მისი აზრით, უძველესი ჯარით დაიწყო ლაშქრობა, მაგრამ თავისი მოლაშქრე ნაწილების ნახევარზე მეტი დაკარგა და ჯიბერი ვერ აიღო. უკან დაბრუნებულმა პორფირე გერენტიმ თქვა: მეცხოვრებ აქ ჩამოსული არიან იერუსალიმიდან – მათ ქრისტე თავგამოდებით ჰყვარებიათ და ამიტომაც ქრისტეს მიუცია მათთვის უძველესი ციხე-სიმაგრე. გერენტიმ ჯიბერის დამკვედ იბერებს ქაჯები უწოდა, ხოლო მათ ციხეს ქაჯთა ციხე (ივ. ჯავახიშვილი).

ამგვარად, არც საბერძნეთში, არც ესპანეთში არ არსებობდა არც ბერძნული და არც ესპანური იბერია. ეს სახელი მათ მგერული „ჯიბერელებიდან“ მიიღეს – „ჯიბერელი“ უძველესი მგერული სიტყვაა. ზოგიერთი სხვა მეცნიერი ადასტურებს, რომ უძველესი დროიდან ესპანეთში მგერული იბერიაა.

ბ. სართანიას მოტანილი აქვს მრავალი ადგილი აკად. კორნელი კეკელიძის შრომიდან („ძველი ქართული მწერლობის ისტორია“) და ამბობს: კორნელი კეკელიძეს აზრით აღმოსავლეთ საქართველოში ქრისტიანობა შემოტანილი აქვთ ბერძნებს, მეორე შესხედულებით წმინდა გრიგოლის, სხვა თვალსაზრისით – წმინდა ნინოს (რომელიც ესპანეთიდან გამოქცეული ტყვე ქალი ყოფილა), კიდევ სხვა შესხედულებით: ასურელმა მამებმა შემოიტანესო. როგორც ზემოთაც აღინიშნა, ქართლის მოქცევის თარიღად ზოგი ასახელებს 312 წელს, სხვები – 317, 318, 328 წელს. ივ. ჯავახიშვილი – 337 წელს, კ. კეკელიძე –

355-356 წლებს, ზოგიერთი თვლის 325-330 წლებს, სხვები კი – 324 (325) წელს – ეს ბოლო თარიღები ყველაზე სწორი უნდა იყოს.

ასევე წმინდა ნინოს შესახებაც: ერთნი ამბობენ – წმ. ნინო საქართველოში ჩამოსულა 352 წელს, მეორენი ამბობენ – წმ. ნინო გარდაიცვალა 349 წელს, სხვები ამტკიცებენ – წმ. ნინო გარდაიცვალა 393 წელსო. ამიტომ აკად. კ. კეკელიძეს წმ. ნინოს კულტი არარსებულად მიანდა. „ასე გაუგებარი და გაურკვეველია, – წერს ბ. სართანია, – ქართველი ხალხის ისტორიაში მოცემული ცნობები იმის შესახებ, თუ ვინ შემოიტანა აღმოსავლეთ საქართველოში ქრისტიანობა“ და დასძენს: ქრისტიანობა აღმოსავლეთ საქართველოში II-III საუკუნიდან მგერელების მიერ არის შემოტანილი – ჯერ კოლხეთის იბერიიდან, ხოლო შემდეგ შუამდინარული იბერიიდან (მდ. ეფფრატის მიმდებარე და სხვა ტერიტორიებიდან). აღმოსავლეთ საქართველოში პირველი ქრისტიანული ეკლესიები IV-V საუკუნეთა მიჯნაზე იმავე შუამდინარულ მგერელებს დაუარსებიათ. მაშასადამე, ქრისტიანობის გავრცელება მიუღი საქართველოში კოლხეთელ იბერებს ეკუთვნის.

პალესტინა-იერუსალიმში მწვავე ბრძოლა იყო ისრაელთა ცეცხლთაყვანისმცემლობასთან, იქ ქრისტიანები ფაქტობრივად დამარცხდნენ. მაგრამ კოლხეთში, ასურეთში, საბერძნეთში, სომხეთში, აღმოსავლეთ საქართველოში ქრისტიანობამ გაიმარჯვა.

V-VI საუკუნეთა მიჯნაზე უძლიერესმა ქრისტიანულმა კოლხეთმა ისრაელის ხელისუფლების წინაშე დააყენა საკითხი: კოლხეთის იბერია, როგორც პირველ ქრისტიანულ ქვეყანას, ქრისტეს სამშობლოში – იერუსალიმში, ქრისტეს სახელზე აეგო წმინდა ჯვრის ეკლესია. ამ მოთხოვნას მხარი დაუჭირეს ასურეთმა და საბერძნეთმა. ისრაელი, რომელსაც კარგი ეკონომიკურ-სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა ამ ქვეყნებთან, იძულებული გახდა დათანხმებოდა კოლხეთის სამართლიან მოთხოვნას მხოლოდ იმ პირობით, რომ კოლხურ ეკლესიას მიხნდა არ დაესახა ისრაელში ქრისტიანობის გავრცელება.

კოლხეთმა ისრაელში ააშენა წმინდა ჯვრის ეკლესია, რომელშიც ისხდნენ რჩეული კოლხი მწიგნობრები და ძველ მგერულ ენაზე წერდნენ საეკლესიო სალოცავ წიგნებს, რომლებსაც მიუღი საქართველოს ეკლესიებში აგზავნიდნენ.

წმინდა ჯვარის ეკლესიის კუთვნილების საკითხს ისიც ადასტურებს, რომ XII საუკუნეში სამეგრელოს მთავარმა ცოტნე დადიანმა შეაკეთა იერუსალიმში წმინდა ჯვრის ეკლესია.

ალბათ, შემთხვევითი არ ყოფილა ის, რომ კოლხეთს თითქმის წინააღმდეგობის გარეშე მისცეს უფლება იერუსალიმში აეშენებინა წმინდა ჯვრის მონასტერი. არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ XII საუკუნეში საქართველოდან წასულმა შოთა რუსთაველმა, მისმა ძმამ გრიგოლმა და ძმის შვილმა იერუსალიმში მიაშურეს. არც ის არის გასაკვირი, რომ ქართველი ხალხისა და ებრაელების მეგობრობას 26 საუკუნის ისტორია აქვს, რომ 6 ათასი წლის იქით ზღვაში ჩაძირულ ქალაქი „ურ“-ს ებრაელებმა შესანიშნავი სიმღერა მიუძღვნეს და ქართველებმა ებრაელებს „ურია“ შეარქვეს („ურის დამაარსებელი“, „ურიდან ამოსული“).

სწორედ კ. კეკელიძე წერს, რომ აღმოსავლეთ საქართველოში პირველი ეკლესია ასურელმა მამებმა დააარსესო. ქართველ მეცნიერთა დიდ ნაწილს ასურელი მამები ქართველებად მიანია; ბ. სართანია კითხულობს: თუკი ეს მამები ასურელები იყვნენ, რამ გააქართველა ისინი? თუკი ქართველები იყვნენ, რამ გახდა ისინი ასურელებად და ავრძელებს: ეს ასურელები ქართველი მამები იყვნენ იერუსალიმელი იბერი მგერელები, რომლებიც შემოვიდნენ აღმოსავლეთ საქართველოში ქრისტიანობის გასამტკიცებლად და ეკლესიების დასაარსებლად. ასურელი მამები მათ უწოდეს ბერძნებმა, რომლებიც ყოველნაირად ცდილობდნენ დაეპყროთ სამეგრელო.

იერუსალიმში მოღვაწეობდნენ გამოჩენილი მწიგნობრები ანდრია, ათანასა და სოფორ, რომლებიც წერდნენ საეკლესიო სალოცავ წიგნებს და ამასთან ერთად კავშირი ჰქონდათ აღმოსავლეთ საქარ-

თველოს მწიგნობრებთან ეფრემსა და ეთმესთან, რომლებიც იერუსალიმიდან იწერდნენ სალოცავ წიგნებს, თარგმნიდნენ და აღმოსავლეთ საქართველოში ავრცელებდნენ.

კ. კეკელიძეს მოტანილი აქვს ასეთი მაგალითი: მწიგნობარ ეთმეს (ეჭვითმეს) იერუსალიმელ მწიგნობრებისგან გადმოუწერია საინტერესო თხზულება „ამუკო-შორფა-აპოკოროფა“, რომელიც მგერულ ენაზე იკითხება „ამბავი შეყვარებულთა სიყვარულისა“ და მეორე იგავარაიი „ამბავი ლავანთი წყლის მზიდველისა“ (მგერულად – „ამბავი ქვევრის წყლის მზიდველისა“) – მართლა იგავარაიია, რადგან ქვევრით წყალს არ ეხიდებიან! კ. კეკელიძე ამბობს, რომ ორივე თხზულება მღვდლებს აუკრძალიათ (არცერთი თხზულება არ იყო საეკლესიო და ინახება თბილისის საეკლესიო მუზეუმში). ბ. სართანია ამტკიცებს, რომ ორივე თხზულება ძველ მგერულ ენაზეა შესრულებული და აყენებს საკითხს: ცხადია, იერუსალიმელი მწიგნობრები წერდნენ ძველი მგერული ენით და აღმოსავლეთ საქართველოს მწიგნობარ-გადამწერლებმა არ იცოდნენ მგერული და მაშინ აღმოსავლეთ საქართველოში თუ მგერულ ენაზე არ ლაპარაკობდნენ, როგორ შეძლებდნენ უცხო ენით დაწერილი წიგნები გადაწერათ.

კ. კეკელიძე ხაზგასმით წერს: აღმოსავლეთ საქართველოში ანბანი და მწიგნობრობა ქრისტიანობის კვლადკვალ პალესტინიდან მოდოდა და ეს ამბავი ეხება V საუკუნის შუა პერიოდს. ივ. ჯავახიშვილი ამბობს, რომ თანამედროვე ქართული ენა გარედან შემოვიდაო.

ბ. სართანია კვლავ კითხულობს: სანამ აღმოსავლეთ საქართველოში ქართული ენა შემოვიდოდა, რა ენაზე ლაპარაკობდა აღმოსავლეთ საქართველოს ხალხი? ამრიგად, ქართული ენა არის გადაქართულებული ძველი მგერული ენა. ასევე მგერული ქართული ენაა. ქორთუ და მარგალი ერთ სამშო-სამომო ოჯახის შემდეგელები არიან.

დაახლოებით ასეთია ბათლომე სართანიას თვალსაზრისი საქართველოსა და კოლხეთის ისტორიის ზოგიერთ საკითხზე მისი ნაშრომის „ძველი კოლხეთის“ მიხედვით, თითქმის ჩვენი კომენტარის გარეშე. რატომ გვააკეთეთ ასე? იმიტომ, რომ ქართველი მკითხველი უთუოდ უნდა იცნობდეს ასეთ ნაწარმოებს საქართველოს ისტორიის საკითხებზე, რადგან ავტორს (ბ. სართანიას) შესანიშნავი მკვლევარისა და ანალიტიკოსის თვალსაზრისი, განზოგადოებანი და დასკვნები აბსოლუტურად სწორი ჩანს.

აღსანიშნავია, რომ ბ. სართანიას ნაშრომი (გაგრძელებით) გამოქვეყნდა 1998 წლის დასაწყისში ისეთ პოპულარულ ჟურნალში, როგორცაა „აია“. ცხადია, რომ ქართველ ისტორიკოსთა ნაწილი ვერ გაიზიარებს ბ. სართანიას ნაშრომში – „ძველი კოლხეთი“, გამოთქმულ ყველა დებულებას, მაგრამ ამ დროიდან გავიდა თითქმის 10 წელი და ისტორიკოსებს არაფერი უთქვამთ ამ ნაშრომის შესახებ ან არ „კითხულობენ“ ჟურნალ „აიას“, ან ფიქრობენ – „რაც უნდათ ის წერონ, რა მნიშვნელობა აქვს“ – „წერონ და იკითხონ“.

ბათლომე სართანიას მეორე ნაშრომი „კოლხეთი სამი ათასი წლის წინ, აიეტის მეფობის ვამს“, ბევრჯერ გვაქვს მითითებული წინამდებარე ნარკვევში. ბ. სართანიას აღნიშნული ნაშრომი 2002 წელს ცალკე წიგნად გამოცდა მწერალმა გიორგი სიჭინავამ.

ილია ჭავჭავაძე აღნიშნავდა, რომ ქრისტეს რჯული ქართველებისათვის მარტო სარწმუნოებითი აღსარება კი არ იყო, იგი, ამასთან ერთად, პოლიტიკური ქვეითობაც იყო საქართველოს მრავალი ნაწილების გასაერთიანებლად და შემოსაკრებლად.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ანდრია პირველწოდებული საქართველოში რამდენიმეჯერ იყო შემოსული. პირველად ის მარტო ყოფილა. იერუსალიმში დაბრუნების შემდეგ იგი საქართველოში სიმონ კანანელთან და მატათასთან ერთად შემოსულა. აღნიშნულ პერიოდში ანდრია პირველწოდებული და სიმონ კანანელი იყვნენ სამეგრელოში, სვანეთსა და აფხაზეთში. ეს იყო ნახარველი (ეს, და სხვა მიმდებარე ტერიტორიები მათ შორის იერუსალიმი იმ პერიოდში, მგერელებით

იყო დასახლებული), დვთაბერივი გვირის ქრისტეშობიდან რამდენიმე ათწლეულში, ე. ი. პირველი საუკუნის პირველ ნახევარში, ორმოციანი წლების დასაწყისში (გ. როგავა). სვანეთში გზად მიმავალ წმინდანს ჯვარ-სალოცავი აუგია მდინარეების – ენგურისა და მაგანის შესართავთან და ამ ადგილს შემდეგ ეწოდება ჯვარი, სადაც გვიან აშენდა „ჯგებე“ – წმინდა გიორგის სახელობის ბრწვენივლე ეკლესია. ამის შესახებ შესანიშნავი მასალები აქვს გამოქვეყნებული ჟურნალისტს გვანჯი მანიას (ამაზე ზემოთაც გვქონდა საუბარი).

პროფ. ლევან ხანიკიძე „უქარქაშო ხმლებში“ აღნიშნავს: „ამაზე ნათლად მეტყველებს ის ამბავი, რომ ნიკეას მსოფლიო საეკლესიო ყრილობის მონაწილე 318 ეპისკოპოსიდან 111-ე ნომრით მოხსენიებულია ბიჭვინთის ეპისკოპოსი სტრატონი. ამდენად, დასავლეთ საქართველოში, უკვე IV საუკუნის პირველ მეოთხედში საეპისკოპოსოები არსებულა“. შემდეგ აგრძელებს: 330 წლის მახლობლად ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა აღმოსავლეთ საქართველოშიც. ამასვე ამტკიცებენ პროფესორები გივი როგავა, ნოდარ ლომოური, ვახტანგ გომილაძე, ბიჭიკო დიასამიძე და სხვები.

ბიჭვინთის საეპისკოპოსოს გარდა ეკლესია-ტაძრები ადრინდელი აშენებულია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. მაგალითად, წალენჯიხის „ქრისტიანული სალოცავები ჯერ კიდევ IV საუკუნეში მდგარა, ხოლო X საუკუნეში, ახალი ტაძრის აშენების შემდეგ (მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის ეკლესია), წენდისა ციხე-ქალაქად მოიხსენიება“. V საუკუნეში ქრისტიანული ეკლესია აშენებულია სკურშიც. II საუკუნეში. სკურის მთაზე აშენდა დიდი თავდაცვითი ნაგებობა-ციხე-სიმაგრე „ჯიხა“, (სკურის ჯიხა“, სოფელი ჯგავლი).

პროფ. ლევან ხანიკიძე, ისევე როგორც სხვა მეცნიერები წმინდა ნინოს კაბადოკიელად თვლის, რომელიც ძველთაგანვე „პონტოელი ქართველი“ დასახლებული ქვეყანა იყო, ყოფილა დირსეული მშობლები. ზაბოლონი და ქალბატონი სუსანა.

ნინოს ბიძასთან, იერუსალიმის პატრიარქთან, უსწავლია ქრისტიანობა და ქრისტეს მსახურება და ამის შემდეგ შემოდის საქართველოში. (ამ საკითხზე ზემოთ ვრცლად გვქონდა საუბარი).

პროფ. ამირან ცაიციშვილ-ფიცხალაურმა მრავალი წერილი, სტატია გამოაქვეყნა ქართულ გამოცემებში „ეფესოსკეცონისა“ და მისი ავტორის ვინაობა-სადაურობის, წარმოშობის, ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ. მათ შორის, კომუნისტური რეჟიმის დროს გახეთ „კომუნისტში“ (1988, მარტი), ხოლო 1999 წელს ვრცელი ინტერვიუ მისცა გაზეთ „მესამე ათასწლეული“ კორესპონდენტს რამაზ ზარნაძეს (ინტერვიუ გამოქვეყნდა სათაურით „შოთა რუსთაველი – გარდაცვალების შვილი და თამარ მეფის მესამე მუღღე?! პროფესორი ამირან ცაიციშვილ-ფიცხალაურს ესაუბრება გაზეთის კორესპონდენტს რამაზ ზარნაძე, გაზ. „მესამე ათასწლეული“, 1999, 31 მარტი-6 აპრილი, №6.).

ის წერს: ბერ-მონაზონი იოანე-შოთა დადიანი შედარებით ხანგრძლივი ხიზანი იყო იერუსალიმის ქართველი ჯვრის მონასტრისა თავის ძმა გრიგოლთან ერთად. შემდეგ იგი იქიდან გამოემგზავრა და ანტიოქიისა და შუა მთის გავლით, შოთა მშობლიურ ჯავახეთშია, მესხეთში შემოდის და 1202 წელს იგი ვარძიის მონასტერში ბინავდება. იმ წელს, ივლისში, დიდი ამალით ვარძიას ეწვევა თამარი, რომელიც დალოცავს და ბასიანისკენ გაისტუმრებს მეომრებს, ლითონ მუფე ოძრახეთში გადავა, სადაც ვიტიანობს, რომელ ღონისძიებაშიც მონაწილეობს ანტიოქიელად, შავითელად წოდებული იოანე-შოთაც. ის იქიდან გელათში გადადის და 1204 წლიდან ანხის, სავარის ეპისკოპოსად, მთავარეპისკოპოსად ინიშნება, ხოლო 1208 წელს იოანე-შოთა დადიანი გახდა კათალიკოს-პატრიარქი, მან გამოიყენა მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლობა, დაქვრივებული თამარის ნდობა, სიყვარული და 1210 წელს იქცა, თითქმის, მეფე-მეფეად.

კლიმენტე ველიკი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (გაგრძელება შემდეგ ნომერში)

მებრული (იბერიული) ენა ქართული ენის დიალექტი, თუ გლოტოგონიური ფენომენი?

ანბანთმწკრივში რიგით მე-12 ნომრად ხის ასონიშანი (ლ), სახელდებით ლას-ი. ბ-ნი რ. პატარიძე პირველ თორმეტ ასონიშანს 12 ზოლიაქოს უკავშირებს და თავის „ქართულ ასომთავრულში“ წერს: „გაზაფხულის ბუნობას მზე ვერძის ზოლიაქოში შეიღობა და თავის წლიურ მოქცევას მე-12 – თევზის ზოლიაქოს გავლით ამთავრებდა. ლას-ი იმ უძველეს ხანაში ან თევზის დმერთს, ან თევზს ნიშნავდაო“, მაგრამ შენიშნავს: „ასონიშნის გრაფიკული მოხაზულობა თევზის იდეოგრაფია არ არის, ამიტომ სიტყვა ლინგვისტებს ეკუთვნისო“.

ვეთანხმები ბ-ნ რ. პატარიძეს, რომ სხვა საფუძვლებთან ერთად, ასონიშანთა ანბანთ მწკრივში გაწყობის თანმიმდევრობის მოტივირებისათვის, შეიძლება, ზოლიაქოც უფოდიოლო გამოყენებული და ამას შემდეგნაირად ვსენი: როგორც ბ-ნი რამაზი წერს, „გაზაფხულის ბუნობას მზე ვერძის ზოლიაქოში შეიღობა და თავის წლიურ მოქცევას თევზის ზოლიაქოს გავლით ამთავრებდა“. ე.ი. ვერძის ზოლიაქოში შესვლითა და ბოლო თევზის ზოლიაქოს გავლით მზე მთლიანად შლიდა მის მიერ გასულ წელს გავლებულ წარმოსახვითი გზის კვალს და ახალი კვალის გავლებას ისევ ვერძის ზოლიაქოში შესვლით იწყებდა. სიტყვა ლას შალას-ს, წაშალას-ს ნიშნავს ე.წ. მეგრულად. ასონიშნის მოხაზულობაში წრე მზის იდეოგრაფიაა, ხოლო სწორ ხაზთა კომბინაცია, ჩვენი აზრით, უხეხავსი ძალის მიერ მზის დისკოს სატარებელი წარმოსახვითი სახელო.

ანბანთ მწკრივში რიგით მე-11 ნომრად ხის ასონიშანი (კ), სახელდებით კან. კ ბგერა ე.წ. ქართველურ და, განსაკუთრებით ე.წ. მეგრულ ენაში სიმტკიცის, სიმაგრის გამოხატველი ბგერაა. იშვიათია ხილული რეალობა, რომლის სახელწოდებაში კ ბგერა შედიოდა და ის მტკიცე, დიდი წინააღმდეგობის უნარის მქონე არ იყოს. ჩვენი აზრით, სახელდება კან-ი დაქარაგმებული, და მეტაფორული ფორმა უნდა იყოს სინტაგმისა (უხმნო წინადადებისა): სიმტკიცე (სიმანგრე) ანც, ანუ სიმაგრე ცაში. რა უნდა იყოს სიმაგრე ცაში? ვარსკვლავთა ერთობლიობას, რომლებიც გარკვეული კანონზომიერებით არიან შემადგებლნი და უჭირავთ ერთმანეთი, გალაქტიკა ჰქვია. სწორედ, გალაქტიკის ფორმაა გამოყენებული ასონიშანი (კ)-ს გრაფიკული მოხაზულობის შექმნისას. ამას გალაქტიკისათვის დიდი დათვის თანავარსკვლავედში გადაღებული სურათის ადასტურებს.

გალაქტიკას წრის ფორმა აქვს, მაგრამ სურათი გადაღებულია გალაქტიკის ეკვატორული სიბრტყის მიმართ კუთხით და ამიტომ აქვს მას ოვალური ფორმა. მზე გალაქტიკის ნაწილია და რადგან მისი

იდეოგრაფია გამოყენებულია რიგით მე-12 ასონიშნისათვის – (ლ) – ლას-ი, მისი მომცველი გალაქტიკა კანონზომიერია იდეგის მის წინ მე-11 ნომრად, ხოლო ასონიშანი (ი), სახელდებით ინ. რაც დაქარაგმებული ფორმა უნდა იყოს წინადადებისა-ი(ლ,რ)ან, ქართ. იქნა ცა (სამყარო), რაც მოიცავს უსასრულოდ მრავალ გალაქტიკას, ზომიერად დგას (კ)-ს წინ მე-10 ნომრად და მისი გრაფიკული მოხაზულობა უსასრულობის გამოხატველია.

ჯერჯერობით 36 ასომთავრული ნიშნიდან 21 მაქვს შესწავლილი იმ დონეზე, რა დონეზეც აქ 6 ასონიშანი წარმოვადგინე. ვაგრძელებ მუშაობას და თუ მე ვერ მოვასწარი, ალბათ, მომავალი ჩემი სულიერი მემკვიდრეები შეისწავლიან დანარჩენს. მაგრამ, როცა ჩვენი დამწერლობების წარმოშობას და უპირველესობას ე.წ. მეგრული ენით ვსენი, ზოგიერთი მეცნიერი ამას ტრაგიკულად აღიქვამს. არ ვაზვიადებ, სინამდვილეში ასეა და ენათმეცნიერების ინსტიტუტსა და უნივერსიტეტებში ამიკრძალებს მოხსენების გაკეთება, მიუხედავად ამისა, არავინ შედავება. მიუხედავად ყველაფრისა, მაინც მოვახერხე მოხსენების გაკეთება ორჯერ სოხუმის უნივერსიტეტში და ერთხელ თბილისის ჯაგახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში, მაგრამ ვერ მოვახერხე დამწერლობის სპეციალისტები. ერთმა ქნმა, რომელმაც ისტორიკოსად და პროფესორად გავაცნო თავი, ერთი სიტყვაც არ უთქვამს ჩემი მიგნებების უარყოფილად, მაგრამ ისტერიული წივილი-კივილი ატეხა იმის გამო, როგორ გავხედე განმეცხადებინა, რომ ჩვენი დამწერლობები (მხედრული და ასომთავრული) ე.წ. მეგრული (იბერიული) წარმოშობისაა.

ჩვენი აზრით, მხედრულიც და ასომთავრულიც იმ ხანაშია შექმნილი, როცა პროტოქართული ენის დიფერენცირება დაწყებული არ იყო და ეს დამწერლობანი ე.წ. ქართველურ ტომებს, ყველას თანაბრად ეკუთვნის, თუ იბერიულ-კავკასიური ოჯახის წევრებს არა. მეტიც: ჩვენი საერთო სალიტერატურო ენის დეკლარაცია, ცნობილია, რომ 50%-ზე მეტი, უცხოური წარმოშობისაა. დანარჩენი ეროვნული წარმოშობის სიტყვების ძირისეული ფორმების კვლევა, ჩემს გარდა, ჯერ არავის უწარმოებია, რადგან ეს შეუძლებლად მიანიათ, როგორც, საერთოდ, მსოფლიოს საენათმეცნიერო ნახოვადობებს, ასევე საქართველოს ენათმეცნიერების ინსტიტუტში. სინამდვილეში აღმოჩნდა, რომ ამ ძირისეული ფორმების სინქრონიულ-დიაქრონიულ, ანუ ჩასახვა – განვითარების დონეზე შესწავლა და ჩასახვის დროს მიღებული მნიშვნელობების გარკვევა მარტივად ხერხდება მეგრული ენით.

ეროვნული წარმოშობისა თუ არა ესა თუ ის სიტყვა, ამას ქართული ენა ადგენს, იმის მიხედვით, არსებობს თუ არა მონათესავე ენებში ამ სიტყვის შესაბამისი სიტყვების ძირისეული ფორმების ბგერით შემაღველლობებს შორის შესატყვისობა. ამ მიზნით მოძიებულია 1500-მდე ძირისეული ფორმა, რომლებიც ჰაინც ფენრიხისა და ზურაბ სარჯველაძის ქართველურ ენათმეცნიეროლოგიურ ლექსიკონში ვარსკვლავითაა გამოხატული, ამოსავალ ენად მიღებულია ქართული ენა. ასე რომ, ვერც ეს ცნობილი მეცნიერები გაეცქნენ ტენდენციურობის ცდუნებას. მაგრამ ძირისეული ფორმების მნიშვნელობებისა და წარმოშობის საფუძვლების დადგენა, ლინგვისტების აზრით, შეუძლებელია და დღემდე გაურკვეველად რჩება. ხოლო მეგრული ენა ჯერჯერობით ერთადერთი ენაა დედამიწაზე, რომელთაც ეს ხერხდება.

ძირისეული ფორმების მნიშვნელობების სინქრონიულ-დიაქრონიულ დონეზე შესასწავლად საჭირო შეიქნა ბუნებაში არსებული თითო თანხმონი გამოხატული სიტყვებისა და პარონიმიური კომპლექსების მოძიება და მნიშვნელობების მიღების საფუძვლების დადგენა. დღეს მეგრულ ენაში ინტენსიურად ხმარდება ბგერა – სიტყვები გ., კ., ლ., ტ., შ., ხ., ც., ძ., წ., და ჭ. ჩვენ კიდევ აღვადგინეთ ყველა დანარჩენი თანხმონი (20 სიტყვა) გამოხატული სიტყვები. აღმოჩნდა, რომ ზოგ ბგერა-სიტყვას რამდენიმე ომონიმი გააჩნია, ზოგი კიდევ ერთი მნიშვნელობით იხმარება. მაგ., ბგერა – სიტყვა გ., -ს 15 ომონიმი, ანუ 15 სხვადასხვა მნიშვნელობა გააჩნია, ბ, -ს – ორი, ტ, -ს – სამი, დ, -ს – ერთი და ა.შ. მაგრამ გამოიცხადებული არ არის ერთი და ორი მნიშვნელობის მქონე ბგერა-სიტყვებსაც, ადრე, ათასწლეულების წინათ მეტი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან საერთაშორისო ლიტერატურაში ცნობილია, რომ ენა, როცა კარგავს სახელმწიფო და სალიტერატურო ენის ფუნქციას, ყოველ ათას წელწადში თავისი ლექსიკური მარაგის 15%-ს კარგავს. შეიძლება ამიტომ რთულდება ზოგი, ეროვნული წარმოშობისა და მიხედილი სიტყვების ძირისეული ფორმების ეტიმოლოგიის სიდრისეული შესწავლა. დღეისათვის ჩვენ შესწავლილი გვაქვს 500-მდე ძირისეული ფორმა და თუ რა დონეზე, აქ წარმოვადგენთ რამდენიმე მაგალითს, რისთვისაც გვჭირდება წარმოვადგინოთ ბ., დ., თ., კ., რ., ხ., და ა.შ. ფორმების მნიშვნელობანი და ის მექანიზმები, რის საფუძველზე შეიძლება მივღოთ მათ ესა თუ ის მნიშვნელობანი.

წინასწარ უნდა აღვნიშნოთ, რომ ბ, ბგერა განუყოფლად თან ახლავს ნებისმიერ ცალკე გამოთქმულ თანხმონი ბგერას. თუ შევეცდებით თანხმონი ბგერა (გარდა

ზ, ჟ, ს და შ-სი) წარმოვთქვათ გავრძელებულად, ემფაზით (სახმოსნო ორგანოების დაბაბვით), თანხმონი თავში, ექსკურსიის (აღმართვის) მომენტში გამოითქმის, შემდეგ კი რამდენიც არ გავავრძელოთ ბ, , , , , გ, , , , , დ, , , , , და ა.შ., ბგერა გვესმის. ხოლო ემფაზით წარმოსათქმელი ბგერის წარმოთქმას თუ შევეცდებით წარმოვთქვათ ემფაზის გარეშე, მშვიდად და მომენტალურად, მიიღება ბ, ბგერა. ბ, ბგერას აქვს მიდრეკილება გახმოვანებისაკენ.

ა) ბ, , ბგერათა კომპლექსს გავიგონებთ, როცა ბაწარს ან სიმს სწრაფად გავქანავთ; როცა სიმაღლეზე დაბმული ბაწრით დაეკიდება ჩამოგდებული ტვირთი, ან მუსიკალური ინსტრუმენტის გაჭიმულ სიმს თითის ჩამოკერტი შევაშფოთებთ და ა.შ. ე.ი. ბ, ბგერათა კომპლექსს გავიგონებთ, ნამდვილი ბმის, კავშირის განხორციელების მომენტში, ან კიდევ, განხორციელებული ბმის შემოფთების მომენტში. ამიტომ მიიღო ბ, ბგერათა კომპლექსმა შემდეგი მნიშვნელობები: 1. ბ, =ბმულია. მაგ., ჩხოუ ბოსხელც ბ, (ძროხა ბოსხელში ბმულია); 2. ბ, = კიდია. მაგ., გულა ჯას მუკო - ბ, (გულა ხეზე ჰკიდია); 3. ბ, = ეკიდა. მაგ., ჩიტქი მახეს კუნხით ქიმკი - ბ, (ჩიტი მახეზე ფეხით ჩამო-ეკიდა).

როგორც ვხედავთ, სამივე მაგალითში ბმ, კავშირია გამოხატული, ისე როგორც ბ, ბგერა – სიტყვის ფარდი ქართული სიტყვებით შეგვიძლია გამოვხატოთ მაგ., ჭერსა და ნათურას შორის კავშირი (ნათურა ჭერზე ჰკიდია, ნათურა ჭერზე ბმულია, ნათურა ჭერზე ეკიდა).

ასევე, ბ-თი გამოხატება სიტყვები ისხა და ასხა, ზოგადად სხმა. მაგ., მებადექ ვარდუფც წყარი ქიგნა-ბ, (მებადექ ვარდებს წყალი გადა-ასხა), ან კიდევ, კოჩქ წყარი დუდიშა ქიგნი-ბ, (კაცმა წყალი თავზე გადა-ისხა). ალბათ, ბ, ბგერათა კომპლექსმა სხმა-ს მნიშვნელობა იმ-იტომ მიიღო, რომ წყლის ან სხვა სითხის გადმოღვრის დროს სითხის გადმოძვრული საგნის ხედაპირსა და დაღვრის ხედაპირს შორის მყარდება მუდმივი თუ არა, მომენტალური მაინც კავშირი ამავე სითხის მასით. შეიძლება ბგერა-სიტყვამ ბ, ამიტომ მიიღო სხმას მნიშვნელობაც.

კუპური ფიფია, აკადემიკოსი, (გაგრძელება იქნება)

“ილორის” კომენტარი – სამწუხაროდ, პროგრამული შეუსაბამობის გამო ვერ ხერხდება იმ სხვადასხვა სქემებისა და კრიპტოგრამების გამოქვეყნება, რაც უფრო თვალნათელს გახდინდა ავტორის მიერ განხილულ საკითხებს!

როგორ “მოუტეხა” მილიარდი უბულავამ სააკაშვილს “ოგშიაკიდან”

მიშა ისე შფოთავს, ძალიან ახლობლებიც ერიდებიან. ამ ბოლო დროს ხან ვინ შევირდებოდა და შემოვლავა, ხან ვინ. მიშას ბოლოს მსხვერპლი გვიო უგულავა აღმოჩნდა, რომელსაც – “ნაციონალური მოძრაობის ობშიაკიდან” ფულის “მოტეხვას” ედავებოდა.

საფრანგეთში კეხერაშვილის დაპატიმრების შემდეგ სააკაშვილმა საბოლოოდ დაკარგა წინასწარიობა. კეხერაშვილი აკონტროლებდა “ნაციონალური” მიერ ბიუჯეტდანი და უცხოური დახმარებებიდან “მოტეხილი” ფულის დიდ ნაწილს – რამდენიმე მილიარდ დოლარს. მხოლოდ მან და ზურაბ ადგიშვილმა იციან, რომელ ოფშორულ ზონაში, რომელი კომპანიის ან ვის პირად ანგარიშზე ინახებოდა ეს უზარმაზარი თანხები. კეხერაშვილი, “ნაციონალური” მმართველი ჯგუფის ქონების განმკარგავი იყო, ამიტომ მისმა დაჭერამ არა მხოლოდ სააკაშვილს დასცა ბნედა. თუ კეხერაშვილი გაასამართლეს, მას ციხიდან არავინ დაანებებს ოფშორული ანგარიშების განკარგვას. პროკურატურამ იცის ამ ოფშორული კომპანიებისა თუ ეგრძობ ანგარიშების არსებობის შესახებ, ამოძიებაც ამ მიმართულებითაც მუშაობს და თუ პროკურატურამ კეხერაშვილი ხელში ჩაიგდო, დიდი შანსია, მან გათქვას ამ ფულის ადგილსამყოფელი და ხელისუ-

ფლებამ სამართლებრივი გზით შეძლოს მისი დაბრუნება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სააკაშვილს და მის ბანდას უინანსური არხები გადაეკეტებათ. როცა კეხერაშვილი დააკავებს, მიშა, თურმე, მთელი დღე იჯდა და ვისკს წრუპავდა. რომ გამოთვრალა, ბარნოვისთვის უბრძანებია – სასწრაფოდ უგულავა გამოცხადდეს ჩემთანო. სანამ კეხერაშვილს დაიჭერდნენ, მას სააკაშვილისთვის უცნობებია, რომ “ნაციონალური” ერთ-ერთი ოფშორული კომპანიის ანგარიშებიდან ერთი მილიარდი დოლარი იყო გამოქრალი. ოფშორში დარეგისტრირებული კომპანია blinton invest corp-ი უგულავას ქვისლის, გორგის დონიაშვილის სახელზეა რეგისტრირებული. ამ კომპანიის ანგარიშზე ინახებოდა თბილისის მერიის ბიუჯეტიდან “მოტეხილი” თანხები. კეხერაშვილმა აღმოაჩინა, რომ ამ კომპანიიდან 1 მილიარდ დოლარი ასევე ოფშორზე დარეგისტრირებული ოცამდე ფირმის სახელზე იყო გადარიცხული. კეხერაშვილი დაიჭირეს და მიშამაც გადაწყვიტა, მოეკითხა გიგისთვის.

მათი ლაპარაკი დიდხანს არ გავრძელებულა. მიშას უკითხავს, – სად გაქრა პანამიდან 1 მილიარდი, რატომ გადარიცხე ეგ ფული სხვადასხვა ფირმების ანგარიშზე? გიგის ენა ჩავარდნია, რადაც კი წაუღელდებოდა, მაგრამ მიშას მოუყ-

ვლობა – 1 საათში ის მილიარდი უნდა დააბრუნო. სააკაშვილს უთქვამს – ფულის მოტეხვა გინდოდა, საარეზიდენტო ვადა გამოდის, ყველაფერი მათხოვარი იყავი, კაცად გაქცეო და ახლა ფულსაც “მოტეხავ”-ო. უგულავა გამწარებულა, ვინ არის შენი მათხოვარი, რაც შემეძლო, ყველაფერი გავიკეთე, შენს გამო შეიძლება ციხეში ჩამსვან და კიდევ უმაღური ხარო. გიგის ხმისთვის აუწყებია და მიშა დასაბამელი გამხდარა, გინებით წამოხსტარა, მკედარი და ცოცხალი არ დაუტოვებია გიგისათვის და ერთი მაგარი მუშტი ჩაურტყამს მისთვის ზურგიდან, მერე ვისკის ბოთლიც უსვრია, მაგრამ აუცილებია. იქ მყოფ ბარამიძეს და ბოკერის ბარნოვისთვის დაურეკავთ, სასწრაფოდ მოდი, გვებ მოიფიქრო რამე და გავანეროთ როგორმეო. ბარნოვი რომ შესულა კაბინეტში, მიშას მისთვისაც შეუკურთხებია – შენ ვისდა დაქარაგვიხარ, მართლა პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი ხომ არ გგონია შენი თავიო. მოკლედ, დავი-დარაბა იმით დასრულდა, რომ მიშამ გიგის მოკლედ დრო მისცა მილიარდის უკან დასაბრუნებლად და დაემუქრა – თუ მილიარდს არ დააბრუნებ, საბოლოოდ გაგანადგურებო.

როგორც ჩანს, ბიზნესეკონომიკის უბედ-ლო მცოდნე ბიძინა ივანიშვილმა

უტყუარად გაშიფრა ის სქემები რითაც სააკაშვილსა და უგულავას დამატებითი მილიარდი “მაგი ფული” უნდა ეშოვნათ და ამიტომაც შეანერა რიგი ნაკების მიერ წამოწყებული პროექტებისა.

ამიტომ იგლეჯს ყველაფერს სააკაშვილი, რათა ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის პროექტი აამუშაოს, საიდანაც უკვე აღებული აქვს “თავისი წილი” თანხა, და, რაც მთავარია, პარლამენტი არ გადმოიტანონ თბილისში, რადგან დაშნაკთა შეკვეთის თანახმად ამას საქართველოს დელაქალაქის ქუთაისში გადატანა უნდა მოჰყოლოდა, რათა აღმოსავლეთ საქართველო სომხებს დარჩენოდათ, რაშიც, ასევე, აღებული აქვს საკმარის სოლიდური ავანსი. ამიტომ იგლეჯს ყველაფერს უგულავა, თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტის შენერების გამო, რადგან თბილისში გამოთავისუფლებული ფართი უკვე გაყიდა და ახლა წინასწარ აღებული ავანსის უკან დაბრუნება მოუწევს!

მოკლედ, დიდი ხიფათის წინაშე დგანან ახლა სომეხი სოვდაგარი სააკაშვილი და მისი “ერთგული” ხაზინადარი უგულავა, რომელთაც ცხრა წელიწადი მოანდომეს მილიარდების შოვნას და ახლა შეიძლება წამის უმაღლაკარგოს მთელი “მოვერაგებული” სიმდიდრე!

პასუხად სიმართლესა და ჭეშმარიტებას ზურბშიაქცეულ კოლეგებს

დასაწყისი – "ილორი" №№238-242

სიმართლე მწარე წამალია – არ გესიამოვნება, მაგრამ მოგარჩენს.

ბალზაპი ჭეშმარიტება არ იზიარებს იმით, რომ ვიღაცა მას არ იზიარებს.

რა არის აქ გაუგებარი?! ან სიმართლის დანახვა არ უნდა გინდოდეს, ან კიდევ რუსულად ვერ კითხულობდე. ფიქრობ, აქ ორივე შემთხვევასთან გვაქვს საქმე! სამწუხაროა, რომ ჩემი ოპონენტები ვერ ხედავენ ან, უბრალოდ, არ უნდათ დანახონ, თუ როგორ აფასებს წიგნის ავტორი აფხაზეთში იმ დროისთვის არსებულ პოლიტიკურ სინამდვილეს. მაგრამ ეს მათ სინდისზე იყო! მოდი და მწარედ ნუ გაიღიმებ: ჯერ კიდევ გამახარია საგულდაგულად მიხსნის იმას, რაც ნებისმიერმა სკოლის მოსწავლემ კარგად იცის – რომ აფხაზეთი საქართველოა და ის კოლხეთთანაა ქართული ცივილიზაციის ერთ-ერთი აკვანია. „ეს ხომ ელემენტარული ჭეშმარიტებაა“ – ამბობს ბატონი ჯემალი და სვამს კითხვას: „ბატონი ნაპო რატომ ამტკიცებს საპირისპიროს? რა მიზანს ისახავს? რატომ უჭერს მხარს მოწინააღმდეგეს უპრინციპულს საკითხში, რომელშიც ვერ ან ძალიან ცუდად ერკვევა? თავისთავად აკეთებს ყოველივე ამას, თუ ვიღაცა აიძულებს?“ ან კიდევ: „მთელი წიგნი, მასში მოტანილი რეალური ფაქტები, რეალური მოვლენების ანალიზი კი, ეფუძნება წმინდა წყლის სეპარატისტულ და ოკუპანტის იმპერიულ იდეოლოგიას, ამიტომაც იგი მოუდებელია არა ნაწილობრივ, არამედ მთლიანად“. შემდეგ: „რა იდეოლოგიას ეფუძნება ბ-ნი ნაპოს წიგნი და რა საერთო აქვს მას სეპარატისტულ თუ იმპერიულ იდეოლოგიასთან? პატივცემულ მკითხველს მინდა შევახსენო, რომ 2008 წელს, როდესაც რუსეთმა აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი აღიარა, ბატონები პუტინი და ლავროვი დიდხანს იყვნენ დაკავებული უკანონო გადაწყვეტილებების ისტორიული „დასაბუთებით“, უცხოელეთთან შეხვედრაზე ისინი ხაზს უსვამდნენ, რომ 1921-1930 წლებში აფხაზეთი იყო სუვერენული მოკავშირე რესპუბლიკა, რომელიც 1931

წელს სტალინმა ძალით შეიყვანა საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიის სტატუსით, აფხაზეთის აღიარებით ისტორიული „სამართლიანობა“ აღვადგინეთო (!). ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს არნახული სიცრუე დიდი ხანია გაცემტვერებულია. ბ-ნი ნაპო თავისი წიგნის მე-15-16 გვერდებზე ხელმძღვანელობს სწორედ სეპარატისტებისა და ოკუპანტების მიერ შეთხზული ამ ზღაპრებით და არა ისტორიული სინამდვილით, რითაც ძალაუნებურად ამართლებს მოწინააღმდეგეს. რატომ, რისთვის, რა მიზნით?“.

ეს ამონარიდები ჯერ კიდევ გამახარიას წერილებიდანაა და ისინი (მისგან განსხვავებით) მომეყვანს მთლიანად, კონტექსტიდან ამოკლევის გარეშე.

როგორც ხედავთ, ჩემი ოპონენტი ძალიან „რთულ“ კითხვებს სვამს და რამდენად კანონზომიერი და მართებულია მათი ამგვარად დასმა, მკითხველმა თავად განსაჯოს. მე მასთან კამათს უკვე აღარ ვაპირებ, მით უფრო, რომ ზემოთ აღნიშნული საკითხების განხილვას ისედაც დიდი დრო მოვანდომე და, შეძლებისდაგვარად, დავანახე მკითხველს, თუ როგორ მოურიდებლად აყალიბებენ ჩემი „კეთილშესრულ“ ოპონენტები ჩემს მიერ მოყვანილ ფაქტებს, ჩემს მოსაზრებებსა და შეხედულებებს. ასე რომ, ვისაც ამის უნარი შესწევს, თავად გაარჩევს თეთრსა და შავს, მტყუანსა და მართალს, ის გამოვიტანს ყველას შესაფერის ვერდიქტს.

მაგრამ აქ ეს არ არის მთავარი, საქმე უფრო სერიოზულადაა! ისეთ ბრალდებებს მიყენებენ, კიდევ კარგი, 1937 წელი არ არის, თორემ კედელთან მიმაყენებდნენ, ან, ყველაზე მცირე, მაგადანს უკან დამატოვებდნენ. დასმენა და ჩაშვება ამას პქვი! ხედავთ, სადამდე, რა დონის აბსურდამდე მიდის საქმე?! თურმე უბრალოდ კი არ ვცდები, არამედ „პატრონი“ მყავს და მის დაველობებს ვასრულებ!

ჯერ ერთი, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ გამახარია და მისი თანამოკალმენი ვერც პოლიტიკურ გარემოში და ვეღარც დროში ახერხებენ ორიენტირებას! მათ, ალბათ, დავიწყებიათ, რომ ჩემი წიგნები 2009 და 2011 წლებში გამოვიდა, ხოლო რუსეთის მიერ აფხაზეთის ოკუპაცია და აღიარება

2008 წლის აგვისტოში – ჩემი ქვეყნის პრეზიდენტის სარდლობით მიმარე ცხინვალის დაბოძების, რეგიონში მიძიმე ჯავშანტეკნიკით შეჭრისა და იქ განცდილი სრული ფიასკოს შემდეგ მოხდა.

ძალზე გულსატკეპია, რომ ბ-ნი გამახარია და მის „აღდგენილებს“ ისეთი ფასეულობები, როგორცაა: ხალი აზრი, სამართლიანობა, კეთილსინდისიერება, პატიოსნება და ა. შ., ერთ მხარეს დარჩენიანთ, ხოლო კალამი სულ სხვაგან გააქცევიათ. აშკარაა, აქ უფრო სერიოზულ ფსიქიკურ პრობლემებთან გვაქვს საქმე, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს!

სინაზული და თანაგრძობა ყველა დღისინიერი ადამიანის ვალია, მაგრამ როდესაც გესაუბრებიან მე-2 კოლონაზე, ეროვნული და სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების ძირგამომთხრელ საქმიანობაზე, უფრო სწორად, ბრალს გვებენ უცხო ქვეყნის მომსახურებაში, სამშობლოს დაღატში და „თანამედროვე შადიმანს“ გიწოდებენ, თანაც ამას ის ადამიანები აკეთებენ, რომლებიც მრავალი წელია გიცნობენ და მშვენივრად იციან, რაზე ხარ წამსვლელი და რაზე – არა, მერწმუნეთ, ასეთ დროს სიმშვიდის შენარჩუნება ნებისმიერს გაუჭირდება. მით უმეტეს, როცა ამას გეუბნება კაცი, რომლის სინდისზეცაა (მურმან ომანიძესთან, გივი ლომინაძესთან და სხვებთან ერთად) აფხაზეთში ე.წ. დისპროპორციული (28:26:11 კვრტებით), სინამდვილეში კი აპარტიდული საარჩევნო კანონის მიღება. კანონისა, რომელმაც იმთავითვე განაპირობა მიღებული საგადასახადო შედეგები. ეს კაცი, ბატონ ლომინაძესთან ერთად, ურცხვად ატყუებდა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას და ქვეყნის უზენაესი საბჭოს სხდომაზე ისე წარუდგენდა აფხაზეთს, თითქოს იქ სრული იდილი ყოფილიყო; სწორედ იგი არწმუნებდა ყველას ზემოხსენებული დისკრიმინაციული საარჩევნო კანონის მიღების აუცილებლობაში და მის ეფექტურობაში, იმაზე კი არაფერს ამბობდა, რის სანაცვლოდ უნდა დაეთმო ქართულ მხარეს ასე საკუთარი ინტერესები.

სამწუხაროდ, სინამდვილეში საქმე გეკონდა ფარულ გარიგებასთან, გაუგონარ დაღატთან – დისკრიმინაციული საარჩევნო კანონის მიღების სანაცვლოდ, ნუგზარ

მაგლობლიშვილის ჯგუფი აფხაზეთის მინისტროს საბჭოს თავმჯდომარედ გაიყვანდა თავის კანდიდატურას (სავარაუდოდ, გივი ლომინაძეს ან თავად ნუგზარ მაგლობლიშვილს), რომელიც ვ. არძინასთან ერთად, ერთ პაკეტში იქნებოდა არჩეული. ყოველივე ეს მაშინ გამოაშკარავდა, როდესაც უმაღლესი საბჭოს მუშაობის დაწყებამდე ორიოდე დღით ადრე, ეს შეთანხმება უხეშად დაირღვა. საქმე ის გახლდათ, რომ პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ აფხაზეთის მინისტროს საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე სულ სხვა კანდიდატურა დაასახელა, რაც თავისთავად იმას ნიშნავდა, რომ მათი გეგმა ჩაიშალა.

ამ მოვლენების თვითმხილველი თავად გახლდით, როგორც დეპუტატი ქართულ-აფხაზეთი შეთანხმებული კომისიის რიგითი წევრი. ერთ-ერთ სხდომაზე, ჩემს გარდა, ქართულ მხარეს წარმომადგენლენ ბატონები: ნ. მაგლობლიშვილი, თ. შავია, თ. ლორთქიფანიძე, ა. გასვიანი, დ. შ. შინი-სტრი გ. ლომინაძე (არადეპუტატი), ხოლო აფხაზეთის მხარეს – კ. ოზანი, ს. ბაღაფში, დ. ფილია და ასევე არადეპუტატი ა. ჯერგენია. მსჯელობისას მე ხმამაღლა შევნიშნე: რატომ აკეთებთ ამას, ამის გაკეთება არ შეიძლება-მეთქი, მაგრამ უურადლება არაა მომპქვია, ჩემსკენ არც გამოუხედავთ. შეწყობილი საუბარი რატომდაც, არადეპუტატებს – გივი ლომინაძესა და ანრი ჯერგენიას შორის მიმდინარეობდა, სხვები კი უბრალო სატენისტის როლში იმყოფებოდნენ (გვ. 98-99).

რა დამავიწყებს, როგორ გარბოდა ნუგზარ მაგლობლიშვილი თავისი ჯგუფით პარლამენტის სხდომებიდან! ამ ადამიანების უგერგილობასა და უპასუხისმგებლობაზე ლაპარაკი აღარ დირს – მათ ხომ სხვებზე ბევრად ადრე მიატოვეს აფხაზეთი?! მაგრამ აფხაზეთის მხარესთან მიღწეული შეთანხმების დარღვევა უკვე აშკარა დაღატო იყო! ეს იმის მეფოთ მაგალითია, თუ როგორ ანაცვალა გივი ლომინაძე საკუთარი ამბიციებს ქვეყნისა და ხალხის ინტერესებს.

ნაპო მუსხია, პროფესორი

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ამჯერად რაისა, არა მაქსიმუტოვნა, – უბრალოდ რაისა

(აფხაზეთის არ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ქ-ნ რაისა მარბაიას კიდევ ერთი უდირის პუბლიკაციის შესახებ)

მკითხველს მინდა შევახსენო, რომ რაისა მაქსიმოვნა (მაქსიმოვნა) – გორბანოვა ის პიროვნება გახლდათ, რომელსაც ძალიან სურდა, აფხაზეთი უქართველდებოდა. უფალი არ გაგვიწივას და მისი „ზმანება“, ჩემიც თუ არ მოვიხდომეთ, რეალობად არ უნდა იქცეს! ნებისმიერი დაპირისპირება, რომელიც პიარტეკვილებს პირდაპირი უფრადობა, სწორედ რომ რაისას წისკვილზე ასხამს წყალს.

წესით, საპასუხო წერილი, კომენტარი თუ განცხადება იმ ბეჭდით ორგანოში (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“) უნდა გამოქვეყნებინა, რომელშიც საპოლემიკო მასალა დაიბეჭდა. მაგრამ აღნიშნულმა გაზეთმა ჩემი ერთ-ერთი, ინფორმაციულ-პოლიტიკური ხასიათის წერილი ისე შეკრიბა, რომ მე თვითონ ვერ დავადგინე, რისი თქმა მსურდა. ამიტომ გადავწყვიტე ქალბატონ რაისას მოკლე პასუხის სხვა გაზეთიდან გავცე.

„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას დიდ პატივს ვცემ, მაგრამ დღემდე ვერ გამოვიდა, რაში სჭირდება მას აფხაზეთის არ ხელისუფლების შიდა სამხარეულში ესოდენ გამუდმებით ხელის გასვრა? ეს სამხარეულო, არც ისე იშვიათად, შხამიან საკვებს (თუ საკენს) გვიმზადებს. აქ მოყუნებულ ზოგიერთ „მხარეულს“ ჩვეულებრივი რიგითი მოქალაქე-დევნილი ადამიანად არ მიაჩნია და იცით, რატომ? 20 წელიწადია ტრიალებს აფხაზეთის არ ხელისუფლების მოჯადოებული კარუსელი – ერთი სკამიდან მეორეზე გადაჯდომბა-

გადახტომა. ზედა ეშვლენებში „სეკუ-სეკუის“ პროცესში იქნება და ისიც დროებით. მეკარუსელები ისევ ძველ პოზიციებს უბრუნდებიან. დეპუტატობა და მთავრობის რიგითი წევრობა მათთვის აქ გარანტირებულია.

ყველას ვეკითხები: საქართველოს ბიუჯეტის კმაყოფიან მყოფ ხალხს (ხოგიერთებს კარგად გამართული ბიზნესი გააჩნიათ...) ძალუძთ კი „გაზაფხულის“ მოყვანა?

ამა წლის 19 სექტემბერს, ისევ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (№179), დაიბეჭდა მორიგი პასკვილი – ამჯერად ქ-ნ რაისას „ღია წერილი ბატონ ნაპო მუსხიას“, რომლის შესავალ ნაწილში მეც ვარ ნახსენები. ამასთან დაკავშირებით, ჩემი თავი ვალდებულად ჩავთვლი, ნათელი მომეყვინა ზოგიერთი საკითხისათვის. კერძოდ, მემხილა ქალბატონი რაისა სად იტყუებს თავს და სად ატყუებს მკითხველს. ქალბატონ რაისას თავიდანვე ვეტყვი, – მე თქვენზე უკეთესი წარმოდგენის ვიყავი. იმ წერილით ისე გაიშვილებოთ თავი, რომ შორიდანაც ჩანს ის ჭეშმარიტი ზეწარი, რომელშიაც ყოფილხართ გახვეული. მკითხველს ბოდიშს მოუხედი ამ სიტყვებისათვის, ვიმედოვნებ, სწორად გამოიგებენ.

ჩემს მიზანს არ წარმოადგენს სტრუქტურ-სტრუქტურ მივსდით მის „შემოქმედებას“, აღვნიშნავ მხოლოდ პრინციპულ მომენტებს, რომლებიც მას უნდა სცოდნოდა. პირველი: ვადისლავე არძინაბამ, – წერს ქ-ნი რაისა, – ჩემთან საუბარში ... „კიდევ ერთხელ დადასტურა რომ კატეგორიულად წინააღმდეგი იყო“. აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარედ ბ-ნი ნაპო მუსხიას კანდიდატურის დაყენებისა. ქალბატონ რაისა, თუნდაც შემდგომი მოვლენების

გათვალისწინებით, ნუთუ დღეს მაინც ვერ ხედავთ, რატომ? როგორ, ვ. არძინაბა ხალხის ჯანმრთელობაზე ზრუნავდა, თუ სხვა რამ აწუხებდა? (თქვენნი სიტყვებით ის ... „უფრო მიზანშეწონილად თვლიდა“... ნაპო მუსხიას პროფესიული საქმიანობა გაეგრძელებინა). ამ კითხვებზე პასუხი სეპარატისტულად განწყობილი აფხაზეთის პოლიტიკური არჩევანის პირველივე გვერდებზე იკითხება. კერძოდ, – ვ. არძინაბა არ აწყოება ქართულ დეპუტაციას მთავრობის თავმჯდომარის პოსტზე ისეთი პიროვნება დაესახელებინა, რომელიც კენჭისყრისას უცილობლად საჭირო ხმებს მიიღებდა. ასეთი იყო სწორედ ბ-ნი ნაპო, – ერთადერთი სხვებთან შედარებით. ვ. არძინაბა აწყოება „ის“, რომელიც შემდგომი მანევრირების საშუალებას მისცემდა. თუ მართლა ამნეზია არ გჭირთ, გაიხსენეთ, შემდგომში მოვლენები როგორ განვითარდა.

მეორე თქვენს „ღია წერილში“, ქალბატონ რაისა, ბევრ უხერხულდებებსა და მოგონილ ამბებსაც წავაწყვი (ალბათ, ბ-ნი ნაპო გაგცემთ ამაზე პასუხს). რაში დაგჭირდათ, ან ვის სასარგებლოდ სტყუებთ ასე მწარედ? თქვენ აქ ბ-ნი თემურ მუჟაბიზის სურბობით. მისი წინასაპრეზიდენტო კამპანია ხომ არ გაქვთ გაანადგურებული? მართალი ვითხრათ, იმათ მაგივრად მრცხვენია, ვინც ასე აუბრალოებს ქვეყნის პრეზიდენტობას. კაცმა რომ თქვას, როდები კარგად გაქვთ განაწილებული, – საქართველოს მომავალი პრეზიდენტი, მომავალი პრემიერი და უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეც თქვენი წრიდან გყავთ შერჩეული. ეს არის, ალბათ, წინასაარჩევნოდ (როგორც შარშან), თქვენი გამონენის ძირითადი მოტივი, თორემ

სხვა დროს არ ყოფილხართ ასე აქტიური...

სიტყვამ მოიტანა და გეტყვით, ბ-ნი თემური ისეა აფხაზეთის წარმომადგენელი, როგორც მე – იაპონიის იმპერატორისა. დავაკონკრეტებ: ის არის ერთობლივად მაშუკა გიორგაძისა და ნაცემოძარობის (ნეობოლშევიკების) წარმომადგენელი (პროექტი).

იმასაც გეტყვით, რომ არამარტო თქვენ და თქვენი ამფსონები, არამედ ბევრად მეტიც, ჯერ კიდევ იღუპებიან და წინა ხელისუფლების გავლენის, მათი პიარტეკვილების ტყვეობაშია. არჩევნების შედეგებში ნახავთ ამას!...

და კიდევ ერთი, – ბ-ნი ნაპოს საყვედურობით, – მიცვალებულებს იმეღმებსო. კი მაგრამ, თქვენ ვის იმეღმებთ ქ-ნი რაისა? თენგიზ სიგუა? და ამას არ თაკილობთ?! ამის შემდეგ, ბ-ნი ნაპოს არ დაუჯეროთ, – აქალოდ ცრუობსო და თქვენ დაგიჯეროთ? პარტიკულურად დაეკაცო? კი მაგრამ, არ გრცხვენიათ?! რამ დაგიკარგათ მოქალაქეობრივი სინდის-ნამუსი? დარწმუნებული ვარ, ჯაბა იოსელიანს, ცოცხალი რომ იყოს, თენგიზ სიგუასავით გვერდში ამოიყენებდით. იქნებ არ იცით, ვისი პროტეჟე იყო იგი?

რაც შეეხება ბატონ ნაპო მუსხიას, ის ერთადერთია თქვენს შორის, რომელსაც, თავისი კეთილდღეობა და ამბიციები არ დაუყვევია წინა პლანზე – ხალხისა და ქვეყნის ინტერესებზე მაღლა. იგი არასოდეს წასულა საკუთარ სინდისთან კომპრომისებზე უცხოვრია და დღემდე უცვაწია ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ. ხალხმა იცის ეს და ამიტომ ენდობა მას.

როგორც წინა პუბლიკაციაში („ვის როგორ სტკივს აფხაზეთი“, „საქართველოს რესპუბლიკა“, 2013

წ. 9 თებერვალი, №25) გირჩიეთ და აქაც შევახსენებთ: „ერთ მხარეზე ჩამოწერეთ ის, რაც ბატონ ნაპოს გაუკეთებია ზოგადად, მათ შორის აფხაზეთშიც (მხოლოდ ის ფაქტები, რომლებშიც თქვენ ეჭვი არ გეპარებათ) და მეორე მხარეზე ის, რაც თქვენ, ყველას ერთად გიკეთებიათ, არ შეეცდები თუ ვიტყვი, რომ სასწორის პინა ბატონ მუსხიას მხარეს ჩამოწვება და გააკეთებდა გაცილებით მეტს, რომ ჰქონოდა მხარდაჭერა და არა ხელშეშლა“ – ეს თქვენც იცით კარგად. საზოგადოებას არასოდეს შეჰპარვია ეჭვი მისი პოზიციის სისწორეში და მის გულწრფელობაში. ის ყოველთვის ამბობდა და დღესაც ამბობს მხოლოდ სიმართლეს და სწორედ ამიტომ სჯერა ხალხს მისი.

მკრეხელობა (უფრო მსუბუქედ ვერც ვიტყვი), თქვენი რომ მას „განდილობის სურვილით გაბრუნებულს“, „ანტი-სახელმწიფოებრივად შემოქმედეს“, „სეპარატიზმის გამღვივებელს“ უწოდებდეთ. ვინ ვინ და თქვენ სხვაზე რა გაქვთ საქილიო?

რამდენიც არ უნდა შეეცადოთ და აფრქვიოთ სიბინძურე ბატონი ნაპო მუსხიას დირსებას არაფერი დააკლებთ!

სიტყვა გამიგრძობდა. დროა მიხედოთ საკუთარ თავს. რაოდენ ბევრი ფერუმარილიც არ უნდა წაიცხოთ სახეზე, საკუთარ ჭეშქეს მაინც ვერ გადაგიფარავთ.

ზაურ კვარაცხელია ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი რედაქციისა: ბატონ ნაპო მუსხიას შესაბამის პასუხს მეოთხეული იხილავს ჩვენს გაზეთში მისი მიმდინარე პუბლიკაციის დამთავრებისთანავე.

სამებროლოს ღირსეული შვილები

მე, როგორც ყოველთვის, საუკეთესოდ ვიყავი ჩაცმული. მაკლდა მხოლოდ თოფი, მომცეს „კარაბინი“. დავიწყე ჩემი ცხენის წვრთნა და სამხედრო მეცადინეობა. მიმაგრებული ვიყავი ვალოდია ბერიძესთან. ორი კვირის განმავლობაში ისე გავინვრთენი, რომ ყოველი ვარჯიშის შემდეგ ამხანაგები ტაშითა და ვაშითი მეგებებოდნენ. ეს იყო 1915 წლის ნოემბერში. 15 დღის შემდეგ, ჩვენს პოლკს, რომელიც 250 კაცი იყო გაერთიანებული, უჩა დადიანის მეთაურობით მიეცა უძინეესი დავალება.

ჩვენი პოლკი ღამე დიდი სიფრთხილით უნდა გადასულიყო გალიციის სოფელ ივანეში, დნესტრის ნაპირას. გათენებამდის, დილის 6 საათზე უნდა გადაგველახა მდინარე დნესტრი და ელვისებური სისწრაფით დავსხმოდით თავს მტრის ნაწილებს, რომლებიც გამაგრებული იყვნენ გალმა ნაპირზე. ამგვარი მოქმედებით არეულ-დარეულს შევიტანდით მტრის ჯარში, ამასობაში მოგვეშველებოდა ჩვენი დივიზია და მოწინააღმდეგეს ღრმა ზურგში გავდევნიდით. ღამით ფრთხილად ჩავედით სოფელ ივანეში.

დილის 6 საათზე, ნამოდგა უჩა დადიანი და გასცა ბრძანება: ბიჭებო, წინ! პირველები ოთარ დადიანი და ვალოდია ბერიძე გადაუშენენ. მათ მიყვებით თუოფანე ბულია, სიჭინავა და მე. დანარჩენები ჩვენ მოგვეყვანენ. ოთარმა, ვალოდიამ, სიჭინავამ, ბულიამ და მე, ჩვენი გამბედავი ცხენებით, ნახევარ საათში გავცურეთ, გადავლახეთ მდინარე და მეორე ნაპირზე გავედით. ჩვენ აგვეყა ათი კაცი, ხმლებამოდებული, დაუსვენებლად, ჯიქურ შევიჭირით მტრის ბანაკში. ატყდა საშინელი სროლა და ყიჟინა. სულ მალე ნამოგვენია ჩვენი პოლკი უჩას წინამძღოლობით. ნახევრად მდინარე მტერი დაფრთხა. ეგონათ, რომ მდინარე მთელმა კორპუსმა გადმოლახა და თავზარდაცემულები გარბოდნენ. ხელში ჩავიგდეთ 600 ტყვე, 7 ზარბაზანი, 10 ტყვიამფრქვევი, მრავალი თოფი, ვაზნები და სხვა საჭურველი.

ჩვენი ასეთი წარმატების ამბავი სწრაფად მოედო მთელ არმიას. საღამოს მოვიდა კორპუსის მეთაური და მოსთხოვა უჩა დადიანს, მისთვის წარედგინა ისინი, პირველები რომ შეიჭრნენ დნესტრში და მდინარე გადალახეს. უჩამ განუცხადა – პირველობას ვერავის მივაკუთვნებ, მთელი ასეული ერთნაირი სიმამაცით და თავგამეტებით შეიჭრა მდინარე დნესტრში და გადალახაო. მერე თვითონვე დაამატა – დასახლება თუ მაინც ცდამანც აუცილებელია, დნესტრის გაღმა პირველები ოთარ დადიანი და ვალოდია ბერიძე გადავიდნენო. გენერალი დიდად კმაცოფილი იყო და დანვრილებით აღწერეს ჩატარებული ოპერაციის სიძნელე და ბრწყინვალედ შესრულება. ასეულის თითოეული წევრი ჯილდოზე იქნა წარდგენილი.

მალე ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს მთელი გალიცია, ქალაქები – სტანისლავი, პაპავიჩოსკა და სხვა მრავალი სოფელი თუ დასახლებული პუნქტი. ამის შემდეგ, მივიღეთ ბრძანება და გავემგზავრეთ ვერშობლოვოს მიმართულებით, სადაც, გერმანელთა სიმაგრეების გასარღვევად დიდი ბრძოლები უნდა მომხდარიყო. მეორე დღეს ჩავალწინეთ ვერშობლოვოს მიდამოებში და დავბანაკდით. ჩვენი წინ იდგა ჩვენივე ფეხოსანთა დივიზია, ხოლო უკან განლაგებული იყო 700 ზარბაზანი, რათა გათენების ხანს მტრისთვის ცეცხლი გაეხსნათ. დილის 6 საათზე გაისმა ნიშანი ბრძოლის დაწყებისა და ატყდა შეიდასი ზარბაზნის განუწყვეტელი კანონადა. ყუმბარების ჯოჯოხეთურ გრილში ყურთასმენა და გარემოს შეცნობის უნარი არავის ჰქონდა. მტრის ტერიტორია ცეცხლსა და კვამლში გაეხვია. საღამოს 5 საათამდე გადაბმულად გრილებდნენ ზარბაზნები და იქაურობა ცეცხლის ალით იყო გადანათებული.

ზუსტად 5 საათზე, მოდის ჩვენი პოლკის მეთაური პრინცი ფაზი კაჯარასკი და გვიცხადებს – ალაჰისა და ღმერთის ლოცვითა და მფარველობით გადავიდვართ შეტევაზე!.. იქვე გვაძლევს ბრძანებას, შევსხედეთ ცხენებზე და საბრძოლოდ გამზადებული დავიძრაო. ბრძანება მიყვებოდა რუსულდება და მივიდვართ წინ. უეცრად, რამდენიმე წუთის წინსვლის შემდეგ, მეთაური ისევ იძლევა ბრძანებას, სწრაფად ჩამოვხტეთ ცხენებიდან და ფრთხილად, საფარ-საფარ დავინწყით უკან დახევა. ეს ბრძანებაც სრულდება. ამის მიზეზი კი ის

გახდა, რომ უკანდახეულ გერმანელებს საჩქაროდ მოსვლოდათ დიდალი მასველი ჯარები, რომლებიც კონტრშეტევაზე გადმოსულიყვნენ და ჩვენი მოწინავე ნაწილებისათვის საშინელი დარტყმა მიეყენებინათ. ამ სასტიკ, სისხლისმღვრელ ბრძოლაში ჩვენი მხრიდან დაიღუპა 16 000 ჯარისკაცი და 150 ოფიცერი. მეორე დღეს, ჩვენმა დივიზიამ ბრძანება მიიღო, რუმინეთში გამგზავრებულიყო.

რუმინეთში გამგზავრება

პეტერბურგიდან დაძაბულობისა და არეულობის ამსახველი ცნობები მოდიოდა, რაც იმის აშკარა მაჩვენებელი იყო, რომ მეფის ტახტი ირყეოდა, რუსეთში რევოლუციური მოძრაობა თანდათან ძლიერდებოდა. ჩვენს პოლკში ბლომად იყვნენ რევოლუციურად განწყობილი პირები, ფარულად ვიკრიბებოდით ხოლმე და ვკითხულობდით პეტერბურგის რევოლუციური კომიტეტის მოწოდებებს, სადაც აღნიშნული იყო, რომ მეფის მთავრობა ეწვეა უმიზნო ომს და უაზრო ხოცვა-ჟლეტას, ეხმარება კაპიტალისტურ ქვეყნებს მუშათა კლასის დასამონებლად და მცირე ერების მოწინააღმდეგე განსამტკიცებლად. ჩვენ, ქართველები და რუსები, ჩვენ მხედრებს შორის ვამუშავებდით რევოლუციური კომიტეტების და მოწინავე მოღვაწეების მოწოდებებს.

გაისმოდა ხმები მეფის ტახტის გარდაუვალი კატასტროფის შესახებ.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ჩვენი დივიზია, ბრძანების თანახმად, დაუყოვნებლივ უნდა გამგზავრებულიყო რუმინეთში, რადგანაც რუმინეთი იმ ომში ჩვენი მოკავშირე იყო. დილით ადრე დაიძრა ჩვენი დივიზია; 15 დღეში გავიარეთ 750 კილომეტრი და ჩავედით რუმინეთის ქალაქ ფოქშანში. ოქტომბერი იყო. რუმინეთის მოსახლეობა დიდი ზემოთ შეგვეგება, ლამაზი შეხვედრა მოგვიწევდა. ვიყავით ექვსი ათასი რჩეული, საუკეთესოდ ჩაცმულ-მოკაზმული მხედარი. საუცხოო, ჯიშინი, ულამაზესი ცხენები გვყავდა. რუმინეთის შტაბის ბრძანებით, ქალაქ ფოქშანის ერთ-ერთ მოედანზე გაიმართა გრანდიოზული ბანკეტი. დილის ცხრა საათიდან საღამოს ხუთ საათამდე გავრძელდა ქეიფი, სადაც ჩვენი დივიზიის ხელმძღვანელობამ და რუმინეთის სამხედრო შტაბის წარმომადგენლებმა სიტყვით მიმართეს ერთმანეთს.

მეორე დღით, საბრძოლო მწყობრით გავემგზავრეთ ბრძოლის ველზე. სარდლობის განკარგულებით, ცხენები ზურგში დავტოვეთ, ვინაიდან ადგილმდებარეობა ისეთი იყო (მეტისმეტად ციცაბო და კლდოვანი), ცხენები ვერ შეძლებდნენ იქ სიარულს. დავინწყეთ პიზიციური ბრძოლები. კარგა ხნის განმავლობაში, დღედაღამ გრძელდებოდა

წინ შემოგვეგებნენ ჩვენა მოსაშველებლად გამოგზავნილი მეომრები ცხენებითურთ. ამან დიდად გაგვაშინა, შევება მოგვცა. შევისვით ეს დაჭრილები და ნამოვედით ზურგისაკენ. მივდივართ უგზო-უკვლოდ. მტრის ძლიერი არტილერიისა და ტყვიამფრქვევთა გამაყრუებელი, განუწყვეტელი სროლის ქვეშ, ჩვენთან ერთად იხევენ ულანის პოლკები. სოფელ სკატურელთან ჩვენი ბრძოლებისთვის ერთ-ერთი მალაობიდან თვალი ედევნებინა ჩვენი დივიზიის პოლკოვნიკ მუსალაევს. მან დანახვისთანავე დამიძახა და მითხრა – ყოჩაღ, შენს სიმამაცესა და ვაჟკაცობასო. მერე დამავალა, ჩვენი ასეულის უფროსის უჩა დადიანისთვის გადამიცა, რომ მას დაუყოვნებლივ წარვედგინე ჯილდოზე. მე, დარცხენილმა, მაღლობა მოვახსენე და ვუთხარი, თქვენი ბრძანება შესრულებული იქნება-მეთქი. რამდენიმე საათის შემდეგ, როგორც იქნა, მივალწინე ჩვენს შტაბს. ცოცხლად დარჩენილი ამხანაგები მეხვეოდნენ და გადარჩენას მილოცავდნენ. უჩა დადიანმა გადამოკცნა და მითხრა, დღეს შენ ნამდვილად გვასახელები მამაცობითო. მართალია, ჩვენ ვერ შევძელით დაგმარებოდი ამ სახიფათო ბრძოლის დროს, რადგანაც არ გვექონდა საშუალება, მაგრამ, ჩემო გვანჯი, შენი დღევანდელი ბრძოლა და თავგანწირვა სამაყუაო მთელი ჩვენი პოლკისათვის და პირადად ჩემთვისაცო. მე მეუხერხულა ამდენი ქება და არ მინდოდა უჩასათვის მეთქვა პოლკოვნიკ მუსალაევის დანაბარები, მაგრამ რადგანაც ეს სამხედრო დავალება იყო, დამორცხვებულმა გადავიცი მას მუსალაევის სიტყვები. უჩამ გაიცინა და მითხრა – მე თვითონ უმისოდ ვიცი, ჩემო გვანჯი, ჯილდოზე წარდგენის ღირსი რომ ხარ და ამას მუსალაევის მიუთითებლადაც ვაგაკეთებო.

ცოტა შევისვენეთ, სული მოვიტყეთ და უჩამ მითხრა – საველი ფოსტით რაღაც მოსულა უმაღლესი სარდლობისგან. ვფიქრობ, დაჯილდოების ამბავი უნდა იყოს დნესტრის გადალახვის და როცა გავალთ სამშვიდობო ადგილას და დავისვენებთ, ვნახოთ, რა იქნებაო. მტერი სწრაფად მოინფედა წინ, იქ გაჩერება აღარ შეიძლებოდა და გაცა ბრძანება – შევსხედით ცხენებზე და დავიძარით ზურგისაკენ. ვიარეთ მთელი დღე 24 დეკემბერს და შევედით ერთ დიდ სოფელში, სადაც უკვე სიმშვიდე და მყუდროება სუფევდა. უჩა დადიანი შტაბით მღვდლის ოჯახში დაბინავდა. მე და ჩემი ამხანაგები იქვე ახლოს ერთ დიდ ოჯახში მოვთავსდით. გათენდა შობა დღე. გავანწყვეთ მშვენიერი სუფრა. შუა სმაში რომ ვართ, მოდის ჩემთან კაცი, უჩა დადიანი გიბარებსო. იმ წუთშივე ვცხადდები. უჩა სიხარულით მილოცავს ჯილდოს და მეუბნება – რასაც ახლა გეტყვი, ნურავინ ნუ გაუშხელ, რადგან დაჯილდოებულია ყველა მხედარი და შენ წინასწარ მინდა გაგახარო, დანარჩენებს კი შემდეგ ერთად გამოვუცხადებთო. მერე იღებს უმაღლესი სარდლობის ბრძანებას, რომლითაც მე სოფელ ივანეში დნესტრის მამაცურად გადალახვისათვის დაჯილდოებული ვიყავი მეოთხე ხარისხის წმინდა გიორგის ჯვრით. ქალაქ სტანისლავში პირველად შეჭრის გამო მესამე ხარისხის წმინდა გიორგის ჯვარი მეძლეოდა, სოფელ ერემჩეს ალებისა და ამ ბრძოლაში გამოჩენილი სამაგალითო მამაცობისათვის – მეორე ხარისხის წმინდა გიორგის ჯვარი.

გავრძელება შემდეგ ნომერში

ცხოვრება ბვანჯი ჩიქოვანისა

მახსოვს ჩვენთან ოფიცერი დუბაევი და სხვები, რომლებიც გატაცებული იყვნენ რევოლუციური იდეებით და ჩვენს ფარულ შეკრებებში აქტიურად მონაწილეობდნენ.

ცრუმორწმუნე არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ ზოგიერთი სიზმარი, რომლებსაც დროდადრო ვნახულობდი, არაჩვეულებრივი სიცხადით ამხდომია და ამის გამო, ჩემი ამხანაგები ჩემი უცნაური წინათგონობების მიმართ დიდ ინტერესს იჩენდნენ. ჩვენს პოლკში მოხალისედ იყო ერთი ფრანგი ოფიცერი, გვარად დეველი. ამ კაცმა ზუმრობით წინასწარმეტყველი მიწოდა. მრავალ სიზმართა შორის, გასაოცარი სიზუსტით რომ მისრულდებოდა, ერთ საღამოს ასეთიც ვნახე: ვითომ ოჩამჩირეში ვიმყოფები და გხედავ – მდინარიდან გამოცურდა დასახიჩრებული, ტანისამოსშემოფლეთილი, ვირზე შემჯდარი იმპერატორი ნიკოლოზ მეორე, მივიდა იქვე მყოფ თავის მეუღლესთან, დედოფალთან და ვაჟთან, ალექსისთან. ვაჟი ტიტველი იდგა და ცეცხლისგან ჰქონდა სხეული დამწვარი. დედოფალი მთლიანად ტალახში იყო ამოსვრილი. თავის ვაჟს დამწვარ ადგილებზე ტალახს უსვამდა.

როცა ამხანაგებს ჩემი ნანახი სიზმარი მოვუყვი, ყველამ იმედი გამოთქვა, რევოლუცია მოახლოებულიაო. ისიც თქვეს – თუ ეს სიზმარიც თქვენი დანარჩენი სიზმრებით ახდა, მეფის ტახტი უეჭველად მალე დაემხობაო.

ამის შემდეგ ორი კვირაც არ გასულა, რომ მოგვივიდა ცნობა რასპუტინის მოკვლის თაობაზე. ეს გახმაურებული მკვლევობა მოაწყო ნიკოლოზ მეფის სიძემ თავადმა სუმაროკოვ-ელსტონ-იუსუპოვმა. იუსუპოვმა და მისმა თანამოაზრეებმა რასპუტინს დიდებული ვახშამი გაუმართეს და მოინადინეს მისი მონამგლა, მაგრამ რადგან ეს განზრახვა ჩაეშალა, ტყვეებით დაცხრილეს იგი და ნევაში გადააგდეს. ამ მკვლევობას მოჰყვა დიდი რეპრესიები და მრავალი მსხვერპლი. ამ საქმეზე პეტერბურგში, სხვებთან ერთად, დაპატიმრეს ნესტორ და საშა ერისთავები. დაპატიმრების საბაბად ის გამოიყენეს, რომ საშა და ნესტორი წინა საღამოს ერთ დიდ საზოგადოებაში რასპუტინთან ერთად იყვნენ ვახშამზე. რასპუტინი დაახლოებული იყო პეტერბურგელ ქართველებთან, რადგან მისი ქალიშვილი ცოლად ჰყავდა ოფიცერ ფზაკაძეს. რასპუტინის სიკვდილის შემდეგ კიდევ უფრო დაბეჯითებით

განუწყვეტელი სროლა. უძილონი, მოღლილ-მოქანცულები ვენოდით უმძიმეს ბრძოლებს, რამაც თვენახევარს გასტანა. ამ ხნის მანძილზე ხან ჩვენ ვიკავებდით მტრის ზოგიერთ გამაგრებულ პუნქტს, ხანაც კონტრშეტევაზე გადმოსული მტერი იბრუნებდა დაკარგულ ადგილებს. 23 დეკემბერს ვინრო, მთავარიან სოფელ სკატურელში გერმანელების წინააღმდეგ მოგვიხდა მეტად მძიმე ბრძოლა იმ დროს, როცა ჩვენი დივიზია ამ თვეწინავერის სასტიკი შეტაკებების შედეგად, საგრძობლად იყო შესუსტებული – ჩვენ დავკარგეთ ათას ორასი მებრძოლი, თავიანთ ცხენებიანად. ჩემი მდგომარეობა იმხანად ასეთია – მახლავს 35 მეომარი, უმეტესად ჩვენები, და 23 დეკემბერს ვიმყოფებით ერთ ფერდობზე. ადრე დილით, მტრის პოზიციებმა გავვისხნეს ძლიერი ცეცხლი. ვგრძობთ, რომ უკიდურეს საფრთხეში ვართ ჩავარდნილი. ან უნდა დავიღუპოთ, ანდა ყველანი ტყვედ უნდა ჩავბარდეთ მოწინააღმდეგეს. სამი მხრიდან გვიახლოვდება მტერი და გვრჩება ერთადერთი გზა – უკან დასახევი, რომელსაც გერმანელები რამდენიმე საათში გადაგვიჭრიდნენ და ვვარდებოდით ე.წ. ქვაბში. გადავწყვიტე, რაღაც არ უნდა დამიჯდეს, არ ჩავბარდეთ ტყვედ და ეს 35 კაცი ზურგში გამოვიყვანო. გამოვიდით ვინრო ბილიკებით და გამოვიარეთ ხევი. ხევიდან გამოსვლის შემდეგ გვემუქრება აშკარა საფრთხე, ვინაიდან გავდივართ გაშლით ველზე, იმ ველს კი გადაჰყურებს პატარა გორაკი, რომელიც მოწინააღმდეგეს უკავია და გამოსაქცევი გზა მისი ცეცხლის ქვეშა მოქცეული. მოვილაპარაკეთ, რომ გამოვიცეულიყავით, მაგრამ მე ძლიერ მოქანცულობას ვგრძობდი, გარდა ამისა, ჩემი სხეულის სიღრმისა და მაშინდელი სიმსუქნის გამო სირბილ არ შემიძლო. ამიტომ მოველაპარაკე ჩემს მებრძოლებს, ნამოვსულიყავით მოკლე-მოკლე გადარბენებით ანუ სვენებ-სვენებითა და სროლით გამოვირბენდით საშში მანძილს ეს აზრი ყველას მოეწონა, ჭკუაში დაუჯდათ, დავნაწილდით პატარ-პატარა ჯგუფებად. მივეცი მათ ნიშანი და განუწყვეტელი სროლით დავინწყეთ სვენებ-სვენებით გამოვრბენა. ამ სახიფათო მანძილის გავლისას 14 ბრძოლის გამართვა მოგვიხდა. მომიკლეს ცხრა კაცი და დამიჭრეს ექვსი კაცი. შედარებით სამშვიდობო ადგილას როგორც კი გამოვიდით,



აია-სოფია – პირველი

ტექსტიდან, რომელიც ცნობილია კატალოგის ნომრით CT-CXI-44/46, „**მითი ერეს შესახებ**“, და ასევე ტექსტიდან, რომელიც ცნობილია როგორც K.S001 და **“Oxford Editions of Coneform Texts”**, ტ. VI., ცნობილია, რომ ასირიელთა დემოკრატული ნერგალუ/ერე (ქართულად – ერა) ანადგურებს შუმერულ ცივილიზაციას, ანუ ასირიელების მიერ შევიწროებულ ხარკდადებულ და საბოლოოდ გაუქმებულ ქალდეველთა თავად-აზნაურთა სახლებს და ჩვ.წ.ად. 630 წელს (ეს ცნობილი ფაქტია) კავკასიის მთებიდან ეშვება ხალხის დიდი მასა თავისი თანამოძმეების დასახმარებლად და გადასარჩენად, ნობუქოდონოსორის ანუ ქართულად ნაბუ-ქალდე-ნეცარის დასახმარებლად (ზემოთ ხსენებულ პერიოდში, ხომ დანამდილებით შეიძლება ითქვას, რომ კავკასიაში არ ცხოვრობდნენ სომხები, ოვსები, აზერბაიჯანელები, თურქები და სხვ. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ შემდეგ ძვ.წ.ად. V საუკუნეში შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე დღევანდელი თურქეთის დიდი ნაწილის ჩათვლით თვით პოროდოტეც კი, ზემოთ ხსენებულ ტერიტორიებზე, მხოლოდ ერთი ეთნოსის ხალხს, ხედავდა).

დღეს ირკვევა, რომ ჩვენებურების იქ ჩასვლა მოხდა რამოდენიმე ნაკადად. პირველია ადრე-შუმერული, ანუ წარღვამდელი, მეორე – მითანური პერიოდი და მესამე – ნაბუ-ქალდე-ნეცარის ანუ ნობუქოდონოსორის დროს და, ამიტომაც, თავისთავად იარსებებდა სხვადასხვაგვარი განსხვავებები თვით ქალდეველებს შორის.

მაგალითად, თუ ენების ოჯახი იყოფა ორ ან რამოდენიმე ჯგუფად, რომლებიც შემდგომში ერთმანეთისაგან განცალკევებული ხდებიან, მაშინ ეს ენები აგრძელებენ განვითარებას თითოეული ჯგუფის შიგნით. მაგრამ ვინაიდან მათში ცვლილებები მიმდინარეობს სხვადასხვა ლინგვისტური მიმართულებით, ეს ენები დროთა განმავლობაში სულ უფრო და უფრო შორდებიან ერთმანეთს, როგორც ფონეტიკურად, ასევე სიტყვაწარმოების მხრივაც და გარკვეული დროის შემდეგ ჩამოყალიბდებიან საესეებით დამოუკიდებელ ენებად. ასე რომ, მინიმუმ, სამათასი წელი დიდად განასხვავებდა თვით ერთგვაროვან ხალხს – ქალდეველებსაც კი.

ნაბუ-ქალდე-ნეცარის დამხობის შემდეგ ქალდეველთა ნაწილი გადადის ეგვიპტეში და იქ აცნობს არაბულ სამყაროს ქალდეველთა ცოდნას, თავის მხრივ, არაბები ანუ მავრები ევროპელებს უზიარებენ ამ ცოდ-

წარღვანადელი ცივილიზაცია დღემდეა ანუ

ნას, ხოლო ბაბილონში დარჩენილი ნაწილიდან უმრავლესობა ბრუნდება თავის სამშობლოში, ანუ უბრუნდება იქ მყოფ თავის ძირძველ ნათესავებს და წარმოიქმნება დაზ-მარგალთა სახელმწიფო **„ეგრისი“**. და ბოლოს ამის მტკიცებულება არის ის, რომ ბიზანტიის იმპერატორები როდესაც მიემგზავრებოდნენ დაზ-ჭანებთან (დვანიკები – არაბულად) ანუ კოლხებთან, ისინი ამ რეგიონს უწოდებდნენ არა უბრუნდოდ ქალდეას, არამედ მესოქალდეას, ანუ ამაში მოიაზრებდნენ მესოპოტამიიდან დაბრუნებულ კოლხ-იბერებს (იხ. ლონდონში დაცული არაბული ხელნაწერები).

აგრეთვე, ქალდეველთა ცოდნის მიღების გამო იყო ასე განთქმული **„ფაზისის“** აკადემია, თავის დროზე და შეიძლება ითქვას, რომ ბოლოს ის ქალდეურ-ფაზისეული ცოდნა ჰქონდა მიღებული ჩვენს წმინდა მეფე დავით აღმაშენებელს, რომელიც მას გადასცა მისმა დაზ-მარგალმა გამზრდელმა. ამას შემდეგ ეს ცოდნა იკარგება.

ღვთაება ქალდისის ტაძრის ნანგრევები აღმოჩენილია ტოპრაკალესში, თურქეთში, ვანის ტბის მიდამოებში (ეს ის პერიოდაა, როდესაც იქ სომხების და ქურთების ხსენებაც კი არ არის). მომავალ ფრაგმენტი ტექსტიდან, რომელიც აღმოჩენილი იყო არგისტისში: **„აი როგორია ქალაქების გარყვნა, რომლებიც მე ქალდისის ხალხისათვის დავიპყრე ერთ წელიწადში... ქალდისის სადიდებლად, რომელიც გვაძლევს ქალდისებს – უმაღლეს მოღვაწეებს, ძლევა-მოსილი ქალდისის შვილებს...“**

ვანის ტბის მიდებარე მიწებზე, მოსახლეობა თავიანთ სცემდა ღვთაება ქალდისს, რომლის სახელიც განსხვავებული ვარიაციებით არის ნახსენები სხვადასხვა წყაროებში. მაგ. **„ქალი“** ტოპრაკალეს ურარტულ ტაძარში და **„კალხუ“** ჩრდ. მესოპოტამიაში. იმ ოლქის მოსახლეობის ენას, სადაც ურარტულ ღვთაება ქალდისს ეთაყვანებოდნენ. ქალდეური ენა ერქვა.

ამას გარდა, არსებობს სიტყვა **„ტოპრაკალეს“** (ქალაქის, სადაც მდებარეობს ღვთაება ქალდის ტაძარი) ნაწერის სხვადასხვა ხერხი. ლონდონის ბრიტანულ მუზეუმში დაცულია ტექსტი, რომელიც ნათელს პფენს განსახილველ საკითხს. იქ მოყვანილია ზემოთხსენებული სიტყვის ასეთი ნაწერა: ტოპრა ქალდე (მეთასედ ქალდეს). ამრიგად, ჩვენ გვაქვს ჩრდილომესოპოტამიის მოსახლეობის ღვთაების – რელიგიის სახელწოდების ნაწერის რამოდ-

ენიმე ვარიანტი: ქალდი, ხალდი, კალხუ (კოლხი), ქალდეან, ტოპრა – ხალე და ვიცით, თუ რომელ ენაზე საუბრობდნენ ისინი (ქალდეურზე). რთული არაა იმ დასკვნამდე მისვლა, რომ ყველა ეს ერთმანეთის მსგავსი სახელწოდება მიეკუთვნება ერთსა და იმავე ხალხს, თუ ისინი ადგილი დროის მონაკვეთის განმავლობაში თანაარსებობდნენ ერთ რეგიონში. აქ აღარ დავიწყებ ურარტუს ტერიტორიაზე, მესხთა, თუბალთა და სხვათა წარმომავლობაზე ლაპარაკს. ერთი სიტყვით, ლონდონის ბრიტანულ მუზეუმში დაცული ტექსტებიდან ჩანს, რომ **„ქალი“**, **„კალი“**, **„კალხუ“** და ქალდეველები ერთი და იგივე ხალხი ანუ კოლხე-ბია.

ბიბლიური ტექსტის ფრაგმენტი, სადაც მოთხრობილია ნოეს მიერ ღვინის მიღებაზე, წარმოადგენს უშუალოდ მონათხრობს იმის თაობაზე, თუ როგორ მიადგა კიდობანი ხმელეთს მას შემდეგ, რაც მოხდა წარღვნა, ანუ წყლების უკუქცევის შემდეგ. ადგილი, სადაც კიდობანმა დაივანა, ვერანაირად ვერ იქნებოდა ძალზე შორს იმ ადგილიდან, სადაც პირველად შეიქმნა ღვინო, მაშ ასე, სად არის ეს ადგილი? ან ქვეყანა? მსოფლიოს ცნობილი მეცნიერები, მისის სონია კოელი, ვიქტორ პენი, ედვარდ ხაიმე, დევიდ ლენგი და სხვ. მრავალი, ცალსახად მიუთითებენ იმაზე, რომ მარცვლეული კულტურების: ხორბლის, ერთმარცვლოვანის, ორმწკრივა ქერის, ყურძნის (ვახის) და აგრეთვე ღვინის წინარესამშობლო არის კოლხეთი.

ბეროსიც ამბობს, რომ ესაა – ქორდუანანი, არამეულ თარგმანში – ონქელოსა. ჩვენ ვხედავთ, რომ ეს ადგილია – კარდუ-ასურელებმაც იცოდნენ კარდუ-ებრელებიც – კარდუნის მიწას უწოდებდნენ მას. კახიტები ქალდეას ეძახდნენ **„ქარდუს ქვეყანას“**, ხოლო ასირიელები **„ქალდის ქვეყანას“**.

ამრიგად, ეჭვს არ ბადებს ის, რომ ძველარამეულ ტოპონიმს ბეტ კარდუ (ანუ კარდუს სახლი (ერის, ხალხის)) შეესაბამება კართუ – ქართუ – ქორთუ. და ყველა ზემოთ ხსენებული ჩამონათვალი.

იპოლიტიც უწოდებს **„კარდუს მთას“** ადგილს, სადაც იმყოფება კიდობანი.

აქ არსებობს სტერეოტიპური მიდგომა – მსოფლიო მეცნიერებაში ჩამოთვლილი: **„კარდუ“**, **„ქართუ“**, **„კარდუნია“**, **„ქორთუ“**, **„კალი“**, **„ქალი“**, **„კალხუ“**: ასოცირდება ქურთების ეთნოსთან, რაც დიდ შეცდომას წარმოადგენს.

ქურთები დაახლოებით ქრ.წ.-მდე VII

ს-ის დასაწყისისათვის გამოჩნდნენ და შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ამ ეპოქაში დაიდრა დასავლეთისაკენ ქურთთა უმეტესი ნაწილი, სწორედ მაშინ, როდესაც მიდიელები თავის მოკავშირეებთან ერთად ანადგურებდნენ ასურეთს (ქრ.წ.-მდე 607 წ.).

პარალელის გასაგებლად საჭიროა გავიხსენოთ, რომ ქურთების მონათესავე უახლოესი და მრავალსაუკუნოვანი მეზობლები – სომხები, უფრო გვიანდელი პერიოდისათვის გამოჩნდნენ ფრიგიის მიმდებარე ტერიტორიიდან და ურარტუს სამეფოს (ასოლოტურად სხვა წარმოშობის ხალხის) დაკავების შემდეგ დამკვიდრდნენ ვანის ტბის მიმდებარედ.

ასე, რომ ქრ.წ.-მდე 607 წლამდე ზემოთხსენებულ ტერიტორიაზე არც ქურთები და არც სომხები არ არსებობდნენ, მიუხედავად წარღვნის და შუმერების დროს. ძველსპარსულ მონარქიაში ქურთები და სომხები ერთმანეთისგან გამიჯნულად არ მოიაზრებოდნენ. პირიქით, ისინი მონათესავე ხალხად ითვლებოდნენ და ერთად შედიოდნენ არმენიის (სომხეთის) პროვინციაში.

ქალდეველთათვის ანუ შუმერებამდელ ცივილიზაციაში მათ უძველეს რწმენა-წარმოდგენებში მთავარ როლს ასრულებდა აია – ბრძენი, კეთილი დემოტი, რომელმაც წარღვნას გადაარჩინა კაცობრიობა. მას მიაწერენ შემდგომ სხვა მრავალ სიკეთესაც.

შემდგომში **მე** (სემიტურად) – ენქი (შუმერულად) – ეს არის ღვთაება აიას ინტერპრეტირებული სახელი. სხვადასხვა მოსული ხალხებისაგან ნარევი ხალხები სხვადასხვანაირად უწოდებდნენ ერთსა და იმავე ღვთაებას. ენქის სახელი შეგვიძლია წავიკითხოთ, როგორც: **„ენ-ენ, ენა, თენა – ეს, ყველაფერი, ექი“** – დაფქვა, **„შექმნა, ე.ი. ექი“** – ყველაფრის შემქმნელი.

არსებობდა შუმერულ-ბაბილონურ-ასირიულ-ხეთთა მაგია. ცნობილი, როგორც შუმერულ-ქალდეური მაგია. საოცარია, ქურუმ-მოგვთათვის დღევანდელი საქართველოს ტერიტორია ძალიან კარგად იყო ცნობილი, მათ შორის, აქ მაცხოვრებელი ხალხით. ქურუმ-მოგვები კავკასიას უწოდებდნენ. აბზუს (ცნობილია, რომ ჩრდილო კავკასიის ტომები კოლხ მთიელებს, რაჭველებსა და სვანებს დღემდე **„ეზზე“-ს** უწოდებენ).

იოსებ ძაცარავა

მართვის მოწმობისთვის გამოცდების ჩაბარებაში სიახლეა

მართვის მოწმობისთვის გამოცდების ჩაბარებაში სიახლეა – 2013 წლის ბოლოდან, მოსახლეობას საშუალება ექნება მართვის მოწმობის მისაღები პრაქტიკული გამოცდა როგორც ავტომობილურ, ისე მექანიკურ გადაცემათა კოლოფის მქონე სატრანსპორტო საშუალებაზე ჩააბაროს. აღნიშნულ საკითხზე, ამას წინათ, შს სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელმა ნინო კობახიძემ სააგენტოში დეპუტატურად ისაუბრა.

ნინო კობახიძის განცხადებით, იმ შემთხვევაზე, თუ მოქალაქე გამოცდას ჩააბარებს ავტომობილურ გადაცემათა კოლოფის მქონე სატრანსპორტო საშუალებაზე, მას უფლება ეძლევა მართოს მხოლოდ ავტომობილურ გადაცემათა კოლოფის მქონე ავტომობილი, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ გამოცდას მექანიკურ გადაცემათა კოლოფის მქონე სატრანსპორტო საშუალებაზე

ჩააბარებს, მოქალაქეს უფლება აქვს მართოს როგორც ავტომობილური, ასევე მექანიკური გადაცემათა კოლოფის მქონე ავტომობილი.

შს სამინისტროს მომსახურების სააგენტო სისხლის ბანკთან ერთად სიახლის დანერგვას გეგმავს, რომლის განხორციელების შემთხვევაში, მართვის მოწმობაში მიეთითება მფლობელის სისხლის ჯგუფი და რეზუსი. მართვის მოწმობაში, სისხლის ჯგუფის და რეზუსის აღნიშვნა, ამ ეტაპზე ნებაყოფლობით ხასიათს ატარებს.

სისხლის ბანკის დახმარებით, როგორც პრესკონფერენციაზე ნინო კობახიძემ განაცხადა, მომსახურების სააგენტოს ტერიტორიაზე განთავსდება ლაბორატორია, სადაც უახლოეს მომავალში მსურველებს საშუალება ექნებათ მართვის მოწმობის აღებისას უფასოდ მიიღონ ინფორმაცია საკუთარი სისხლის ჯგუფისა და რეზუსის


შესახებ, ხოლო დონორობის შემთხვევაში, საშუალება ექნებათ ჩაიტარონ უფასო გამოკვლევა ოთხი სახეობის ვირუსზე.

2014 წლიდან შს სამინისტროს მომსახურების სააგენტო განათლების სამინისტროსთან ერთად საჯარო სკოლებში საგზაო ნიშნებისა და მოძრაობის უსაფრთხოების წესების სწავლების შემოღებას გეგმავს. დღეისათვის აღნიშნული საგანი ერთი სემესტრის განმავლობაში ისწავლება და მისი სწავლა ნებაყოფლობითია, 2014 წლიდან კი, აღნიშნული საგანის სწავლება უფროს კლასებში უკვე სავალდებულო გახდება.

ამის გარდა, როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, მომსახურების სააგენტო რამდენიმე ახალ სიახლესაც წერგავს. მიმდინარე წლის 9 სექტემბრიდან, მომსახურების სააგენტომ მომხმარებელს შესთავაზა განახლებული

ვებ-გვერდი, სადაც განთავსებულია ინფორმაცია სააგენტოს მიერ გაწეული სხვადასხვა მომსახურებისა და სიახლეების შესახებ. აღნიშნული ვებ-გვერდის საშუალებით შესაძლებელია სხვადასხვა ელექტრონული მომსახურებით სარგებლობა. უახლოეს მომავალში, როგორც საქართველოში, ისე ქვეყნის ფარგლებს გარეთ მყოფ პირებს საშუალება ექნებათ ვებ-გვერდზე ელექტრონული განაცხადის შევსების საფუძველზე, სატრანსპორტო საშუალებათა მართვის მოწმობისა და ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობის შეცვლა, ან დაკარგულის აღდგენა. ვებ-გვერდის საშუალებით ასევე შესაძლებელი იქნება უცხო ენაზე შედგენილი დოკუმენტის ქართულ ენაზე თარგმნის სერვისის შეთავაზებაც.

სკორტული კუთხე მიჰყავს შურნალისტ ბიორბი ჯალაღანიას როგორ ბალახს ვაჟა-ფშაველამ და მისმა ძმამ კრივის ლებენდა ჯონ სალივანი



ვადუ პორტუგალიური ხალხური სიმღერის ჟანრი – ჩვენში დარჩეს და, ძალზე ნაღვლიან-რომანტიკული. ანა მოურაც, რომელსაც იმ დღეს დაესრულებინა გასტროლები სტამბოლში, ასეთივე ხასიათისა გახლდათ: გამომიტყდა, რომ არ მოსწონდა თანამედროვე ევროპული მუსიკა და ფაღუს ამჯობინებდა – მასში ჩემი ხალხის სული ირეკლებოდა.

ფაღუს პორტუგალიური ხალხური სიმღერის ჟანრი – ჩვენში დარჩეს და, ძალზე ნაღვლიან-რომანტიკული. ანა მოურაც, რომელსაც იმ დღეს დაესრულებინა გასტროლები სტამბოლში, ასეთივე ხასიათისა გახლდათ: გამომიტყდა, რომ არ მოსწონდა თანამედროვე ევროპული მუსიკა და ფაღუს ამჯობინებდა – მასში ჩემი ხალხის სული ირეკლებოდა.

მსგავს ადგილას, სახელდახელოდ მოწოდებდნენ რინგებზე. მოკრივეებს კი “ათლებები” ერქვათ და 1882 წლამდე უხელთათმინოდ ერკინებოდნენ ერთმანეთს. იმ წელს კი, ლონდონის ერთ-ერთ რინგზე ერთ-ერთი “ათლები” უხელთათმინოდ კრივისგან ისე დამახინჯდა, რომ მისი მოწინააღმდეგის იმპრესარიოს სასამართლოშიც მოწვევა საქმის გარეგნად.

რამდენი დაუჯდებოდათ, მკითხველმა წარმოიდგინოს. ყველაზე საინტერესო კი ის იყო, რომ მეორე დღეს, ბანანა რომ სამშობლოში გამობრუნდა, ვაჟასთან სასტუმროში ვიღაც ახმახი, დაკუნთული უცხოელი ჯგუფი მოსულა და თავი ამგვარად წარუდგინა: მე ბატონო, ის კაცი გახლავართ, გუშინ ამა და ამ სალონში, თქვენს გვერდით მაგიდაზე რომ ვიჯექი და ჩემდა დიდად სამწუხაროდ, თქვენგან მოქნულმა მუშტებმა დამაზარალაო.

ამ ზაფხულს, აგვისტოში სტამბოლში გახლდით. და სწორედ მაშინ, როდესაც იქვე ჩამოსული ტურისტები ქალაქგარეთ, ელიტურ პლაჟებზე მზეს ეფიცებოდნენ, მე ოსმალეთის სამხედრო არქივში ვიჯექი და კისრამდე ჩაფლული ვიყავი ათასგვარ ძველ, ფრიად დღეგრძელი არაბულ-ოსმალური ანბანით ნაწერ დოკუმენტებში.

თავისუფალი დრო მხოლოდ სადამთბობი-თლა მქონდა და რადგან სტამბოლური ბაღის ცხოვრება არ მიტაცებდა, სასტუმროს ღირს საართულზე – უშველდებელ რესტორანში ვიჯექი ხოლმე და ოსმალეთის ყოფილ სატახტო ქალაქს ზემოდან გადავყურებდი.

ჰოდა, ქართველი კაცი რომ რესტორანში შევა და დაჯდებო, ეს იმას ნიშნავს, რომ მას ან მძაკელები უნდა ახლდეს იქ, რათა ქუდი ჰკრას კრან, ან მანდილოსანი, ცხოვრების არსზე სასაუბროდ – სხვანაირად ვერ იქნება იმიტომ, რომ ჩვენს მამა-პაპას უთქვამს: მარტო კაცი ჭამაშია ცხადიაო.

ჩემს შემთხვევაში ისე გამოვიდა, რომ იმ რესტორანში მძაკელებთან ერთად შევედი და მანდილოსანთან კი დავეჯექი მაგიდაზე. ის მანდილოსანი პორტუგალიელი მომღერალი ანა მოურა იყო, რომლის სახელი ყველას სმენია, ვინც კი ფაღუს თავ-ვანისმცემელია.

მე რე მითხრა: იყო დრო, როდესაც პორტუგალიელთა სახელი მთელ მსოფლიოში ქუხდაო და, იქვე მოაყოლა – თქვენს ხალხზე რაღას იტყვიო?

მე საკმაოდ მრავალმნიშვნელოვნად გავიძიე და გუპასუხე: სენიორა, ჩვენც ისეთი ვართ, რომ თამამად შეგვიძლია, ჩვენი სახელიც მთელ მსოფლიოში დავაქუხოთ, მაგრამ სულ მტრებთან ბრძოლა და ჩვენი მეობის დაცვა გვიწევს და, მაგ მხრივ უფრო ვართ ცნობილი-მეთქი.

მე რე კი ავდექი და ის ამბავი მოვუყვიე, თუ როგორ გალახეს ვაჟა-ფშაველამ და მისმა ძმამ ბანანამ სანქტ-პეტერბურგში ჩასული ერთი საკმაოდ ცნობილი მოკრივე, რომელსაც თავის შერცხევის ამბავი, ცხადია, არსად მოუყოლია.

ჩვენც არაფერი გვეცოდინებოდა, ვაჟა-ფშაველას რომ ფელეტონი არ გამოეკვეთებინა XX საუკუნის დასაწყისის ქართულ პრესაში.

ჰოდა, იმ დღესაც, როცა ეს ამბავი მომხდარა, ერთ-ერთ სალონში მსხდარან ქართველები. ვაჟასთან ერთად კი მისი ძმა ბანანაც ყოფილა.

მოვლენები კი ერთი შეხედვით, ძალზე ბანაღურად განვითარებულა: გვერდით მაგიდასთან მსხდარ ყოფილა უცხოელებს რაღაც არ მოსწონებოდათ ჩვენებისა და უკმეხადაც მოემართათ. ვაჟა უკმეხად მართლაც ვის შეარჩენდა და კი გვარიანი ჩხუბიც ატეხილა – იმდენად მაგარი, რომ სულ მიღწეულ-მოღწეულია იქაურობაც და იმ უცხოელთა ცვირ-პირიც.

მერე, როგორღაც მოგვარებულა ყველაფერი და ქართველებს თავიც დაუძვრენიათ უანდარმერიისგან.

რუსული უანდარმერია კი, ჩვენებურებს ოდითგანვე ძალიან მტრობდა და მისგან თავის დაძვრენა ბანანასა და ვაჟას რა და

იუმორი

ინჟინერების ოჯახი. ქმარი ცოლს ეუბნება: - დედამიწის გარშემო რამდენიმე ფენად სპილენძის მავთულს თუ შემოვახვევთ, ცვლადი დენის გენერატორი გამოვა. - დღესაც დათვერი, არა? ცვლადი კი არა, მუდმივი დენის! * * *

ანდერს ფოტ რასმუსენი: „საქართველო მომავალ წელს ნატოს წევრი არ გახდება“

საქართველო 2014 წელს ნატო-ს წევრი არ გახდება, უკრაინამ კი საერთოდ უარი თქვა ბლოკში გაწევრებაზე, - ამის შესახებ, „რიონოსტის“ ცნობით, ბრიუსელში ნატო-ს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოტ რასმუსენმა განაცხადა.

„საქართველოს ახალმა მთავრობამ დაადასტურა ნატო-ში გაწევრების განზრახვა. თუმცა მომავალ წელს ეს ნამდვილად არ მოხდება, ჯერჯერობით ჩვენ საქართველო-ნატო-ს საბჭოს ფარგლებში ვითანამშრომლებთ“, - განაცხადა რასმუსენმა რუს ჟურნალისტებთან შეხვედრაზე ნატო-ს თავდაცვის მინისტრების სხდომისა და რუსეთ-ნატო-ს საბჭოს სხდომის წინ.

მან ასევე აღნიშნა, რომ 2008 წელს ბუქარესტის სამიტზე საქართველოც და უკრაინაც ალიანსში გაწევრების მომხრენი გამოვიდნენ. თუმცა შემდგომ უკრაინამ გადაწყვიტა, რაიმე კავშირში არგაწევრების პოლიტიკით ეხელმძღვანელა.

რასმუსენის აღნიშნული განცხადება ცივი შხაპითაა იმ ქართველი პოლიტიკოსებისათვის, რომელთაც ნატო-ს გარეშე საქართველოს მომავალი ვერ წარმოუდგენიათ. სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ თავმჯდომარე ბატონი ალექსანდრე ჭაჭია კი წლების წინ გეგმავდა, რომ საქართველოს ნატო-ში გაწევრება ნიშნავს საქართველოში თურქეთის სამხედრო ბაზების განთავსებას. ეს კი დამატებით თავსატეხს გაგვიტყვის

გამოვიდა პირველი ტომი სერგეი კრემლიოვის წიგნისა „ბერიკა – XXI საუკუნის საუკეთესო მინი-ჯიპი“. გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ მხარდაჭერით. წიგნის შექმნა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე). ტელ. 599.573.322.

საგამოცემო ჯგუფი ბერიკა XXI საუკუნის საუკეთესო მინი-ჯიპი

ანდერს ფოტ რასმუსენი: „საქართველო მომავალ წელს ნატოს წევრი არ გახდება“